საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭ-დური სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

შაბათი-ორშაბათი, 8-10 აგვისტო. 2020 წ. №98 (9024) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ამერიკა რუსეთს მოუწოდებს, უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე. წ. დამოუკიდებლობის აღიარება!!!

საქართველოში ამერიკის საელჩომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელიც რუსეთ-საქართველოს ომის 12 წლისთავს ეძღვნება.

„თორმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთი საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში შეიჭრა. 7 აგვისტო მწუხარებით გვახსენებს რუსეთის ოკუპაციის შედეგად დაზარებულ ათასობით ადამიანს, რომლებიც კვლავაც განსაცდელში რჩებიან. დღეს ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებსაც თავიანთი სახლების დატოვება და დევნილობა აიძულეს. ჩვენ ვიხსენებთ უდანაშაულო, მშვიდობიან მოქალაქეებს, რომლებიც დაიღუპნენ იმის გამო, რომ დე ფაქტო ხელისუფლებამ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზი ჩაკეტა და არ მისცა მათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიღების უფლება. ჩვენ გვახსოვს უკანონო „ბორდერიზაციის“ შედეგად გახლეჩილი ოჯახები და დაკარგული საარსებო წყარო. მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო კოვიდ-19-ით გამოწვეულ ზიანთან გამკლავებას ცდილობს, საქართველო, ამავდროულად, ზარალდება სავაჭრო ურთიერთობების დაკარგვით იმ მოქალაქეებს შორის, რომლებიც ახლა ერთმანეთს თვითნებურად დადგენილი გამყოფი ხაზებით არიან მოწყვეტილი, ეს კი ქვეყნის ეკონომიკური აღდგენის პროცესს კიდევ უფრო აბრკოლებს.

გასულ წელს, ჩვენ, ასევე, ვიხილეთ რუსეთის მიერ მართული მასშტაბური შემოჭრა და ჩორჩანა-წნელისის მიმდებარედ დამატებით ასობით მეტრი ტერიტორიის გაკონტროლების მცდელობა. რუსეთი კვლავ არღვევს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რუსი „მესაზღვრეები“ აკავებენ მშვიდობიან მოქალაქეებს და ახორციელებენ ძალადობრივ ქმედებებს ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზზე.

2008 წლის შეთანხმების ფარგლებში რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებები მკაფიოა: რუსეთმა უნდა გაიყვანოს თავისი ძალები კონფლიქტის დაწყებამდე არსებულ პოზიციებზე და უზრუნველყოს ჰუმანიტარულ დახმარებაზე შეუფერხებელი წვდომა. გარდა ამისა, ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ასი ათასობით დევნილმა და ლტოლვილმა შეძლოს საკუთარ სახლში უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნება.

ამერიკის შეერთებული შტატების ერთგულება ქართველი მეგობრებისა და პარტნიორების მიმართ ურყევია. ჩვენ ქართველი ხალხის გვერდით ვდგავართ და მათთან ერთად მოვუწოდებთ რუსული აგრესიის შედეგად გაყოფილ საზოგადოებებს კვლავ გაერთიანებისკენ“, — წერია განცხადებაში.

რაჭაში ნასტიქიარ ჭრილობებს იშუშებენ

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია გუშინ რაჭაში სტიქიის შედეგად დაზარალებული ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო. მთავრობის მეთაური ონში ვიცე-პრემიერთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილთან და მაჟორიტარ დეპუტატ გოჩა ენუქიძესთან ერთად იმყოფებოდა.

სტიქიის შედეგად მოწყვეტილ სოფლებთან მაღალი გამავლობის ავტომანქანებით მიმოსვლა უკვე აღდგენილია, მსუბუქი ავტომობილებით მოძრაობა კი რამდენიმე დღეში გახდება შესაძლებელი.

რაჭის სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩართულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ორი კონტრაქტორი, კომპანიის 25 ერთეული მძიმე ტექნიკა და რამდენიმე ათეული სპეციალისტი. სტიქიის ზონაში, სულ 48 საცხოვრებელი სახლი დაზიანდა, რომელთაგან 40 უკვე გაიწმინდა, რვა სახლი კი დამატებით სამუშაოებს საჭიროებს. გარესამყაროს მოწყვეტილ რვა სოფელში დარიგდა 770 სასურსათო კალათა, პროდუქტი და მედიკამენტები.

გიორგი გახარია ადგილობრივ მაშველებს შეხვდა, რომლებსაც სტიქიით დაზარალებულ სოფლებში, სადაც ავტომანქანით გადაადგილება შეუძლებელი იყო, მოსახლეობისთვის საკვები პროდუქტი და მედიკამენტები ფეხით აჰქონდათ.

პრემიერმა მათ გაწეული მნიშვნელოვანი სამუშაოსთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.

პრემიერ-მინისტრი უშუალოდ გაეცნო ღარის, შოვის ხიდისა და საავტომობილო გზის აღდგენით სამუშაოებს, ასევე — გომი-ჯინჭვისის ხიდის რეაბილიტაციის პროცესს. სოფელ ნაკიეთსა და ჟამიერეთში გიორგი გახარია ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მათი საჭიროებები პირადად მოისმინა. აღნიშნულ სოფლებში სტი-

ქიის შედეგად დაზიანებული 12 ოჯახი გასახლებას ექვემდებარება.

მთავრობის მეთაურმა ონის მუნიციპალიტეტის მერს დაზარალებული ოჯახების განსახლების საკითხის უმოკლეს ვადაში მოგვარება დაავალა.

მისივე თქმით, დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების პარალელურად, აქტიურად გაგრძელდება მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელთა განხორციელება რეგიონის განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მიმდინარე სამუშაოების დათვალიერებისა და მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ, გიორგი გახარია რაჭაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო საგანგებო შტაბის წევრებს შეხვდა, რომელიც რეგიონში განვითარებული მოვლენებისთანავე პრემიერის დავალებით შეიქმნა. პრემიერ-მინისტრმა შტაბის წევრებს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოფხვრის მიმართულებით კონკრეტული დავალებები მისცა და გაწეული ოპერატიული სამუშაოსთვის მათ მადლობა გადაუხადა.

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ პროცესშია ჩართული, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს, კერძო კომპანიას, რომელმაც ასევე ძალიან აქტიურად იმუშავა, შტაბის თითოეულ წარმომადგენელს, საგანგებო სამსახურს და ჩვენს მაშველებს, რომლებიც, ფაქტობრივად, ყოველდღიურ რეჟიმში თითოეულ სოფელში მიდიოდნენ და ხალხთან წამლიდან დაწყებული, ყველაფერი მიჰქონდათ...

გიორგი გახარია: ჩვენ არასოდეს შევეგუებით ოკუპაციას

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ასეულობით ჩვენი მოქალაქის, მათ შორის მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე შეიწირა, დავკარგეთ ჩვენი გმირი ჯარისკაცები, ტერიტორიები, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ოფიციალურ გვერდზე წერს. მთავრობის მეთაური ხაზს უსვამს, რომ ეს იყო ტრაგედიით სავსე დღეები, რომელმაც დაგვიტოვა უდიდესი ტკივილი და მძიმე შედეგები.

„12 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში უმძიმესი დღეები გამოვიარეთ. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ასეულობით ჩვენი მოქალაქის, მათ შორის მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე შეიწირა, დავკარგეთ ჩვენი გმირი ჯარისკაცები, ტერიტორიები. ეს იყო ტრაგედიით სავსე დღეები, რომელმაც დაგვიტოვა უდიდესი ტკივილი და მძიმე შედეგები. ჩვენ არასოდეს შევეგუებით ოკუპაციას. ჩვენ ამ გამოწვევის გადაჭრის მშვიდობიან გზაზე ვდგავართ და ამ პროცესში ჩვენს გვერდით დგანან ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები.

ჩვენ აღარასოდეს გავიმეორებთ წარსულის შეცდომებს, რადგან კარგად ვიცით, რომ მშვიდობას ალტერნატივა არა აქვს და რომ სწორედ მშვიდობა, ერთობლივი შრომა და ეკონომიკური წინსვლა, განვითარებაა ჩვენი ქვეყნის გამთლიანების წინაპირობა.

სწორედ ამიტომ, ჩვენი ხელისუფლების არჩევანი არის მშვიდობიანი, რაციონალური და თანამიმდევრული პოლიტიკა, რომელიც აუცილებლად მიგვიყვანს საბოლოო მიზნამდე — სრულ დეოკუპაციამდე და ხელოვნურად გახლეჩილი საზოგადოებების ერთიან, დემოკრატიულ, ევროპულ სახელმწიფოში მშვიდობიან თანაცხოვრებამდე“, — წერს გიორგი გახარია.

ვინ შეჭამა აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსთვის გამოყოფილი 4 მილიარდი დოლარი?

საქართველოს რუსეთ-აფხაზეთის ომის შედეგებიდან გამოსასვლელად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი 4 მილიარდი დოლარიდან არც ერთი თეთრი მოსახლეობამდე არ მისულა, — ამის შესახებ „მედიაცენტრ მთავარში“ გიორგი ხაინდრავამ განაცხადა.

გოგა ხაინდრავამ ამაში მაშინდელი ხელისუფლების ორი წარმომადგენელი: სააკაშვილი და კეზერაშვილი დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ისინი დღეს საქართველოდან არიან გაქცეულები და მართლმსაჯულებას ემალებიან.

„ამ ფულით დღეს ბატონი კეზერაშვილი ლონდონის ცენტრში, ფეშენებელურ სახლში ცხოვრობს და ინახავს, ჩემი აზრით, დანაშაულებრივ ორგანიზაციას, რასაც მისი ტელევიზია ჰქვია, საიდანაც მიზანმიმართულად მიმდინარეობს ანტისახელმწიფოებრივი ქმედება. მე ვსაუბრობ ფაქტებით. არც ერთი სიტყვა არ არის ჰაერიდან მოტანილი და ყველაფერ ამას გააჩნია ზუსტი დოკუმენტაცია“, — განაცხადა ხაინდრავამ.

მისივე თქმით, მიხეილ სააკაშვილი კი საქართველოს ბიუჯეტიდან ნაძარცვი და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გამოყოფილი ფულით ფეშენებელურად ცხოვრობს როგორც უკრაინაში და ასევე აშშ-სა და ჰოლანდიაში მისი უძრავი ქონების შესახებ არაერთი ინფორმაციაა გავრცელებული.

არჩევნები არ გადაიდება!..

ჩვენი ქმედებების, იმ ღონისძიებების შედეგად, რაც ჩვენ პირველივე დღეებიდან განვახორციელეთ, პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით დღეს საკმაოდ სტაბილური ვითარება გვაქვს, შესაბამისად არანაირი საფუძველი არ გვაქვს დღეს, რომ ჩვენ არჩევნების გადადებაზე ვიფიქროთ, — ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, მაია ცქიტიშვილმა „ქრონიკაში“ განაცხადა. მისი თქმით, ხელისუფლების მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა და მასში თითოეული მოქალაქის ჩართულობის შედეგია ის, რომ დღეს ჩვენ შედარებით ნორმალურად ვცხოვრობთ.

„15 სექტემბრიდან ჩვენ სასწავლო პროცესის აღდგენას ვგეგმავთ სკოლებსა და უმაღლეს დაწესებულებებში. საკმაოდ დიდი ხანია, რაც პრაქტიკულად ყველა ბიზნესი ჩვეულ რეჟიმში მუშაობს და მასობრივი ღონისძიებებიც კი გვაქვს დაშვებული, მართალია ჯერჯერობით ღია სივრცეში. ეს შედეგია იმ ძალიან მნიშვნელოვანი და დროული ღონისძიებების, რაშიც თითოეული ჩვენი მოქალაქე იყო ჩართული და სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგია, რომ ჩვენ დღეს შედარებით ნორმალურად ვიცხოვროთ, ერთმანეთიც მოვინახულოთ და არ ვიფიქროთ არც არჩევნების გადადებაზე“, — განაცხადა მაი ცქიტიშვილმა

სოციალურად დაუცველ სტუდენტებს სწავლას დაუფინანსებენ

სოციალურად დაუცველი სტუდენტების ბაზას, რომლებსაც სწავლის პროცესი გადაუხდელობის გამო აქვთ შეჩერებული, მთავრობა ჯანდაცვის და განათლების სამინისტროების მონაცემებზე დაყრდნობით შეადგენს. ამის შესახებ ეკატერინე ტიკარაძემ „ქრონიკის“ ეთერში განაცხადა. ჯანდაცვის მინისტრის თქმით, სტატუსის დადგენის შემდეგ სტუდენტებმა განაცხადი უნდა შეავსონ.

„განათლების სამინისტროს და ჯანდაცვის სამინისტროს გააჩნია ერთობლივი ბაზები. ერთი მხრივ, ჯანდაცვის სამინისტროში მოიპოვება ბაზები სოციალურად დაუცველი ყველა მოქალაქის შესახებ. განათლების სამინისტროში მოიპოვება ბაზები ყველა იმ სტუდენტის შესახებ, რომელიც დღესდღეობით არის რეგისტრირებული და ვისაც აქვს შეჩერებული სტატუსი. ამ სტატუსების დადგენის შედეგად ჩვენ ველოდებით მათგანაც შესაბამის განაცხადს, რის შედეგადაც მოხდება უკვე ამ თანხების ანაზღაურება სასწავლო დაწესებულებებისთვის“, — განმარტა მინისტრმა.

დღეს ცნობილი გახდა, რომ ყველა სოციალურად დაუცველი, 150 ქულამდე სტუდენტი მიიღებს სახელმწიფოს მხრიდან ერთი სემესტრის, 2020-2021 წლის სასწავლო წლის ერთი სემესტრის სრულ ანაზღაურებას.

15 აგვისტოდან 17 წლამდე ბავშვების დახმარების თანხის მისაღებად რეგისტრაცია იწყება

17 წლის ჩათვლით ბავშვებისთვის 200-ლარიანი დახმარების მისაღებად მშობლები სპეციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლას 15 აგვისტოდან შეძლებენ, — ამის შესახებ „ქრონიკის“ ეთერში ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ განაცხადა.

„ჯანდაცვის სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა იმ ვებგვერდზე, სადაც შესაძლებელი იქნება ჩვენი მოქალაქეებისთვის უკვე 15 აგვისტოდან დარეგისტრირება. დარეგისტრირების შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ მოხდება უკუკავშირი თითოეულ ოჯახთან და მერე უკვე დეტალური ინფორმაციის მოძიებისა და შეგროვების შემდეგ მოხდება 1-დან 15 სექტემბრამდე ბავშვის მშობლებისთვის იმ თანხების გადარიცხვა, რომელზეც დღეს ბატონმა პრემიერმა ისაუბრა“, — განაცხადა ტიკარაძემ.

მისივე თქმით, თუ მშობელმა არ შეავსო განაცხადი, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ მშობელი კომპენსაციის მიღებაზე უარს აცხადებს. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ რეგისტრაციის პროცესი მარტივი იქნება.

ზურაბ აბაშიძე:

საქართველოში ინტერვენციისთვის მოსკოვს საფასური არ გადაუხდია

საქართველოში ინტერვენციისთვის მოსკოვს პრაქტიკულად საფასური არ გადაუხდია, მის წინააღმდეგ არც რაიმე სანქცია დაწესებულა. ზოგადად, სანქციების საკითხი „ნაციონალურ მოძრაობას“ მხოლოდ 2012 წლის, ანუ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ მოაგონდა, — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, ზურაბ აბაშიძე ჟურნალისტებთან საუბრობს.

ზურაბ აბაშიძის თქმით, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები იმაზე გაცილებით მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე კონფლიქტის დასრულების შემდეგ წარმოგვედგინა.

„რუსეთმა სრული კონტროლი დაამყარა ჩვენი ქვეყნის იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ომამდე ნაწილობრივ ან სრულად აკონტროლებდა საქართველოს ხელისუფლება, კერძოდ, ცხინვალის რეგიონში 100-ზე მეტ სოფელზე. „ნაციონალურ მოძრაობას“ დღემდე არ გაუცია პასუხი კითხვაზე, თუ რატომ დავთმეთ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე 2008 წლის აგვისტოში სამხედრო თვალსაზრისით ფრიად გამაგრებული კოდორის ხეობა, ისევე, როგორც იქ განლაგებული დიდძალი ძვირადღირებული სამხედრო ტექნიკა ან რატომ დაერქვა ამ ხეობას 2006 წელს ზემო აფხაზეთი?

2008 წლიდან საქართველოში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, კვლავ განთავსდა რუსეთის სამხედრო ბაზები, რომელთა გაყვანა 1990-იანი წლების ბოლოდან დიდი ძალისხმევის შედეგად მოხდა. ამან კარდინალურად შეცვალა ქვეყნის უსაფრთხოების გარემო, რასაც ყოველდღიურად ვაწყდებით. სწორედ რუსეთის სამხედრო ბაზები იქცა ოკუპაციის მთავარ ღერძად“, — განცხადა ზურაბ აბაშიძემ.

მისივე თქმით, ომის შედეგების „ინვენტარიზაციისას“ აღმოჩნდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ 2004-2008 წლებში რუსულ კომპანიებზე გაასხვისა საქართველოს ენერგოსექტორის მრავალი სტრატეგიული ობიექტი, მათ შორის 15 დიდი ელექტროსადგური. რუსულმა კომპანიებმა შეიძინეს რიგი სხვა მნიშვნელოვანი აქტივებიც, მათ შორის ნავთობისა და გაზის მრეწველობის, მინერალური რესურსების, სამრეწველო და სამედიცინო სექტორებში. შედეგად, „ნაციონალური მოძრაობის“ ძალისხმევით ქვეყნის ეკონომიკის დიდი ნაწილი რუსეთის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა.

„ყოველი წლის ბოლოს „ნაცმოძრაობა“ აწყობს პერფორმანსებს მაგისტრალური გაზსადენში რუსული გაზის სატრანზიტო ფასთან დაკავშირებით და ადანაშაულებს ხელისუფლებას უპრინციპობაში. არადა, კარგად გვახსოვს, რომ მაგისტრალური გაზსადენის რუსეთისთვის საერთოდ მიყიდვა „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, ამერიკელ მეგობრებს რომ არ შეეჩერებინათ ეს ანტისახელმწიფოებრივი ოპერაცია. რატომ და რისთვის გაკეთდა ყველაფერი ეს? ვის მიზნებს ემსახურებოდა? პასუხები ამ კითხვებზე დღემდე არ მოგვისმენია“, — დასძინა პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა.

მისივე თქმით, ომის შემდეგ საერთაშორისო დონეზე მიღებულ დოკუმენტებში ქვეყნისათვის დამაზიანებელი შეფასებებიც გაკეთდა.

„ზოგ შემთხვევაში საქართველოს წარმომადგენელთა უუნარობის გამო. დასავლეთის ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის ევროკავშირი და ნატო, უკვე 2008 წლის ბოლოსათვის დაუბრუნდნენ რუსეთთან ურთიერთობის ჩვეულ რეჟიმს“, — განაცხადა აბაშიძემ.

კიდევ ერთი „შეშფოთება“ და კრემლის ყრუ დუმილი!

გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი რვა ქვეყანა საქართველოსთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

გაეროს უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ საქართველოში არსებულ ვითარებაზე იმსჯელეს. სხდომის დასრულების შემდეგ, საქართველოსთან დაკავშირებით ბელგიის, ესტონეთის, საფრანგეთის, გერმანიის, აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, ნორვეგიისა და ირლანდიის ერთობლივი განცხადება გავრცელდა, რომელშიც რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობაზე და ოკუპაციის შედეგებზეა საუბარი.

განცხადებაში კიდევ ერთხელაა ხაზგასმული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მხარდაჭერა და საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების მიუღებლობა.

„ამ კვირაში აღინიშნება 12 წელი 2008 წლის რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის დაწყებიდან. გვახსოვს ისინი, ვინც დაიღუპა, ვინც სახლი დაკარგა და ვწუხვართ იმ მცირე პროგრესის გამო, რომელიც კონფლიქტის გადასაჭრელად 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებების შემდეგ იქნა მიღწეული.

მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. რუსეთის შეიარაღებული ძალების განგრძობადი ყოფნა საქართველოს რეგიონებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ასევე, რუსეთის მიერ ამ რეგიონების ე.წ. სუვერენიტეტის აღიარება არღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ძირს უთხრის საქართველოს სუვერენიტეტს, ისევე როგორც საერთაშორისო წესრიგის ნორმებს. ის კიდევ უფრო ჰყოფს საზოგადოებას და რისკის ქვეშ აყენებს ჯანდაცვასა და კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობას.

უკიდურესად შეშფოთებული ვართ ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის ინტენსიფიკაციით ბოლო წლის განმავლობაში, მათ შორის „კოვიდ-19“-ის გლობალური პანდემიის დროს. ამ ისედაც სირთულეებით სავსე დროს, დე ფაქტო ხელისუფლებები ეფექტურად ახორციელებენ სასაზღვრო კონტროლს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში და განაგრძობენ თვითნებურ დაკავებებს ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ.

შეშფოთებული ვართ რუსეთის მიერ დეზინფორმაციული კამპანიის გამო პანდემიასა და ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ისევე, როგორც ყალბი პროპაგანდის გამო, ლუგარის ცენტრის მიერ გაწეულ სამსახურთან დაკავშირებით, რომელმაც მრავალი სიცოცხლე გადაარჩინა“, — ვკითხულობთ განცხადებაში.

განცხადების ავტორები მოუწოდებენ რუსეთს, სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

„12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმება მოიცავს რუსეთის მხრიდან ვალდებულებას, გაიყვანოს შეიარაღებული ძალები საომარი მოქმედებების დაწყებამდე არსებულ პოზიციებზე. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ასევე ავალდებულებს მხარეებს, დაამყარონ უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმები“.

გაეროს უშიშროების საბჭოს წევრები გამოხატავენ მხარდაჭერას ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირების უფლებების მიმართ. ხაზს უსვამენ სახლებში მათი უსაფრთხოდ, ღირსეულად და ნებაყოფლობით დაბრუნების მნიშვნელობას, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

„ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხი არის ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მთავარი საკითხი. მიუხედავად შერიგების თაობაზე მნიშვნელოვანი პროგრესის შესახებ მიცემული თავდაპირველი დაპირებისა, ჩვენ ვწუხვართ რუსეთის მხრიდან ვალდებულებებისა და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატში პროგრესის არარსებობის გამო. ჩვენ მოვუწოდებთ დე ფაქტო ხელისუფლებებს, უზრუნველყონ შეუფერხებელი წვდომა ამ რეგიონებთან შესაბამის ჰუმანიტარულ და ადამიანის უფლებადამცველ აქტორებისთვის და სხვა პირებისთვის“, — ნათქვამია გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ქვეყნების განცხადებაში.

ცნობისთვის: შეხვედრა ვირტუალურ ფორმატში გაიმართა, რომელსაც ბელგიის, ესტონეთის, საფრანგეთის, გერმანიის, აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, ნორვეგიისა და ირლანდიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ევროკავშირის ქვეყნები:

კვლავ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს

საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის ქვეყნების მისიების ხელმძღვანელები აგვისტოს ომის მე-12 წლისთავს ეხმიანებიან. შესაბამის განცხადებას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ავრცელებს.

„დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის კონფლიქტის 12 წლისთავს აღვნიშნავთ. მრავალი გლობალური გამოწვევის მიუხედავად, ევროკავშირის მიერ საქართველოში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების მხარდაჭერა ისეთივე მყარია, როგორ ყოველთვის. სამწუხაროდ, ბოლო თვეების განმავლობაში დაძაბულობა ძლიერი რჩება და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთს კვლავ ჰყავს სამხედრო ძალები, რაც არღვევს საერთაშორისო კანონმდებლობას და რუსეთის მიერ აღებულ ვალდებულებებს, რომლებიც 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებით არის გათვალისწინებული. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ფუნდამენტური ადამიანის უფლებები კვლავაც ირღვევა, მათ შორის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გზით ე.წ „ბორდერიზაციის“, კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტების დროებითი დახურვისა და უკანონო დაკავებების საშუალებით.

ევროკავშირი კიდევ ერთხელ ადასტურებს მზადყოფნას, გააგრძელოს საქართველოში სტაბილიზაციის და კონფლიქტის მოგვარებაზე მიმართული ძალისხმევა, მათ შორის, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში თანათავმჯდომარის რანგში ჩართულობის, სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობის და ადგილზე მნიშვნელოვანი როლის მქონე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობის საშუალებით.

ევროკავშირი კვლავ გამოთქვამს საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერას ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“, — ნათქვამია განცხადებაში.

მოვუწოდებთ რუსეთს შეწყვიტოს უკანონო ქმედებები

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მე-12 წლისთავთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

„12 წელი სრულდება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის წამოწყებისა და საქართველოს განუყოფელი რეგიონების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთის) უკანონო ოკუპაციის შემდეგ. ევროპაში სუვერენული საზღვრების ძალისმიერი გზით ცვლილების ეს უკანონო მცდელობა წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ნორმებისა და პრინციპების უხეშ დარღვევას, რამაც სერიოზულად დააზიანა წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო სისტემა და სერიოზული საფრთხე შეუქმნა მთელი ევროპის უსაფრთხოებას.

2008 წლის აგვისტოს ომიდან 12 წლისთავზე, რუსეთის ფედერაცია კვლავაც უარს ამბობს, შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამავლობით დადებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან. მეტიც, რუსეთის ფედერაცია კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების უკანონო მილიტარიზაციას და დგამს ნაბიჯებს მათი ფაქტობრივი ანექსიისკენ. შემაშფოთებელია, რომ ყოველდღიური ხასიათი მიიღო საოკუპაციო ხაზის მავთულხლართებითა და სხვადასხვა ხელოვნური ბარიერებით გამაგრებამ, რასაც თან ახლავს ადგილობრივ მცხოვრებელთა უკანონო დაკავებები და გატაცებები“, — ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო უწყება რუსეთის მხრიდან ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით გავრცელებულ დეზინფორმაციაზეც ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ რუსეთი პანდემიის პირობებშიც აქტიურად იყენებს ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტებს საქართველოს წინააღმდეგ.

„შეშფოთებას იწვევს, რომ მოსკოვის დეზინფორმაციული შეტევების ობიექტი ლუგარის სახელობის საქართველოს ჯანდაცვის ლაბორატორიასთან ერთად, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც კი გახდა. მეტიც, გლობალური მასშტაბით ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე გაეროს გენერალური მდივნის მოწოდების ფონზე, საოკუპაციო ძალები ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლის — ზაზა გახელაძის დაჭრასაც არ მოერიდნენ, რომელიც დღემდე მათ უკანონო პატიმრობაში რჩება“, — ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო უწყების განცხადებით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეში შელახვა, ეთნიკური დისკრიმინაცია და ასობით ათასი იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილის საკუთარ სახლში დაბრუნების უფლების დარღვევა კვლავაც რჩება რუსეთის უკანონო ოკუპაციის მძიმე ჰუმანიტარულ ტვირთად.

„დ. ბაშარულის, გ.ოთხოზორიასა და ა.ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაუსჯელობის წახალისება კიდევ უფრო ზრდის ეთნიკურ ნიადაგზე ძალადობის საფრთხეს. ამ ფონზე კიდევ უფრო შემაშფოთებელია, რომ საოკუპაციო ძალა დღემდე აბრკოლებს ადგილზე ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზების შეუზღუდავ წვდომას და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების განლაგებას, აგრეთვე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესვლას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში. უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული უმწვავესი გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს მთავრობისა და ხალხის გააზრებული არჩევანია მშვიდობა და ქვეყნის მდგრადი განვითარება. საქართველო განუხრელად ახორციელებს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკას და მის ხელთ არსებული დიპლომატიური თუ სამართლებრივი ბერკეტების გამოყენებით ცდილობს ქვეყნის დეოკუპაციასა და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გადაჭრას.

საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ძალისხმევის ნათელი მაგალითია ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“ განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები ადამიანების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებასა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობისა და ურთიერთობების აღდგენას“.

საგარეო უწყება მადლობას უხდის საერთაშორისო თანამეგობრობას საქართველოს სუვერენიტეტისა და მთლიანობისადმი ურყევი მხარდაჭერისთვის.

საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეწყვეტოს უკანონო და პროვოკაციული მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ, შეასრულოს ევროკავშირის წინაშე 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, გაიყვანოს ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან და შეცვალოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ უკანონო გადაწყვეტილება.

ზაალ ანჯაფარიძე:

ოპოზიცია ერთმანეთის წაართმევს ხმებს და „ქართული ოცნება“ დამაჯერებლად გაიმარჯვებს

„თუ ოპოზიციაში ის პროცესები გაგრძელდა, რაც ახლა მიმდინარეობს, გამორიცხული არ არის, „ქართულმა ოცნებამ“ 40%-ზე მეტი აიღოს, არავისთან არ დასჭირდეს კოალიცია და თავად ჩამოაყალიბოს მთავრობა“,– აცხადებს ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე.**

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ტერმინი „კოალიციური მთავრობა“ ძალით არის შემოგდებული „ნაცმოძრაობის“ და ზოგადად, ოპოზიციის მხრიდან, რათა შეგვაჩვიონ იმ აზრს, თითქოს „ოცნება“ 2020-ის არჩევნებში სასურველ შედეგს ვერ დადებს. წვრილ-წვრილი პარტიებისთვის სათანადო ადგილი მართლაც გამზადებულია, თუ „კოალიციური მთავრობა“ ძალით გაპიარებული თემაა?

— საინტერესო კითხვაა, რადგან 1%-იანი ბარიერი და 40%-იანი ჩამკეტი, რომელიც 8 მარტის შეთანხმებაში აისახა (რომ, თუ პოლიტიკური პარტია ვერ მიიღებს 40%-ს პლუს ერთ ხმას, ის ვერ დააკომპლექტებს მთავრობას), იმიტომაც იყო შემოღებული, რათა გაზრდილიყო კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების შესაძლებლობა და ამით თავი აგვერიდებინა ერთპარტიული მმართველობისთვის. ეს იყო იდეა და თავიდანვე იყო ჩადებული კოალიციური მთავრობის შექმნისთვის ხელშემწყობი გარემოებები. იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანა საპარლამენტო მმართველობისკენ მიდის, საპარლამენტო მმართველობისთვის დამახასიათებელი ნიშნებია, რომ სხვადასხვა პოლიტიკურმა მოთამაშეებმა ერთმანეთთან კონსენსუსი იპოვონ და კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბონ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ეს პოლიტიკური კულტურა ჯერჯერობით არ არსებობს, 1992 წელს გვყავდა ასეთი მთავრობა, იმის მერე კი არ გვყოლია. თავისთავად, ეს იდეა კარგია თეორიაში, მაგრამ რამდენად მოხერხდება კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება რეალურად, ეს სხვა საქმეა. თუ იმის აუცილებლობა დადგა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ „ევროპულ საქართველოსა“ და „ნაცმოძრაობასთან“ ერთად შექმნას კოალიციური მთავრობა, მე მგონი, ეს შეუძლებელია. თუ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოაგროვა 40%- ზე მეტი ხმა, მაშინ გამორიცხული არ არის, მან რამდენიმე პარტიასთან შექმნას კოალიციური მთავრობა და „ევროპული საქართველო“ და „ნაცმოძრაობა“ თამაშგარე დატოვოს. აქ ვგულისხმობ იმ პარტიებს, რომლებსაც „ქართულ ოცნებასთან“ მისასვლელი ხიდები არ დაუწვავთ, რომელთანაც ჯერ კიდევ დარჩენილია თანამშრომლობის რესურსი, მაგრამ ეს თეორიული ვარაუდებია, ეს ყველაფერი გამოჩნდება არჩევნების დროს და არჩევნების შედეგებმა შეიძლება თავდაყირა დააყენოს ეს ვარაუდები.

ყოველ შემთხვევაში, მიმაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ აიღებს ხმების საკმარის რაოდენობას, იმდენს, რომ მას მხოლოდ რამდენიმე პარტიასთან შეიძლება დასჭირდეს ალიანსის შექმნა კოალიციური მთავრობის შესაქმნელად, ან კიდევ, თუ ოპოზიციაში გაგრძელდა ის პროცესები, რაც ახლა მიმდინარეობს, გამორიცხული არ არის, „ქართულმა ოცნებამ“ 40%-ზე მეტი აიღოს, არავისთან არ დასჭირდეს კოალიცია და თავად ჩამოაყალიბოს მთავრობა.

— ხომ შეიძლება, გაბრაზებულმა ამომრჩეველმა ხმა მისცეს არა „ქართულ ოცნებას“, ან „ნაციონალურ მოძრაობას“, არამედ ახალ პარტიებს, თუნდაც მცირე პარტიებს? ახალი პარტიების შანსი გაცილებით მაღალი ხომ არ არის ამ არჩევნებში, ვიდრე სხვა დროს იყო?

— იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს ერთპროცენტიანი ბარიერი და საარჩევნო კოდექსში ცვლილები შევიდა, მომცრო პარტიებს შანსი გაუჩნდათ, მაგრამ როგორ ისარგებლებენ ამ შანსით, ამას ჩვენ დავინახავთ წინასაარჩევნო პროგრამის მიხედვით, რომელიც მათ ექნებათ გამოქვეყნებული, ასევე, ვნახავთ, თუ რას ეტყვიან ისინი ამომრჩეველს, ან ვისთან შეკრავენ წინასაარჩევნო ალიანსს. ამის დრო ჯერ კიდევ აქვთ. მოგეხსენებათ, აგვისტო ისეთი თვეა, აქტიური მოქმედებები არ მიმდინარეობს, გადაჯგუფება-გადმოჯგუფება არ ხდება, სექტემბრიდან უკვე შემეძლება თქვენს ამ კითხვაზე უფრო ჩაღრმავებული პასუხის გაცემა.

— როგორ ფიქრობთ, რომ არა „ნაცმოძრაობა“, რომელსაც ოპოზიციური ნიშა ურყევად უჭირავს, უფრო მრავალფეროვანი, ბრძოლისუნარიანი და საინტერესო არ გახდებოდა ჩვენი პოლიტიკური ველი?

— სოციოლოგიურ გამოკითხვებს რომ ჩავხედოთ, რამდენი პროცენტია გადაუწყვეტელი ამომრჩეველი, რომლებიც ოპოზიციურად არის განწყობილი, როგორც ერთი, ისე მეორე პარტიის მიმართ?! საკვარაუდოდ, ისინი რაღაც ახლის ძიებაში არიან, ან არავისთვის არ უნდათ ხმის მიცემა. ასე რომ, პოლიტიკური ველი არ არის დაკეტილი მხოლოდ „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ მიერ, გარკვეული ველი თავისუფალია და აღნიშნულ პარტიებს შეუძლიათ, იქ თავი გამოავლინონ. თუმცა თქვენ, ალბათ, იმასაც გულისხმობთ, რომ ახალ პარტიებს საამისო რესურსები არა აქვთ, რათა სრულფასოვნად წარმოაჩინონ საკუთარი თავი. ეს ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ მათ აქვთ იმის საშუალება, როგორც მინიმუმ, ამომრჩეველთა გარკვეულ სეგმენტს საკუთარი თავი გააცნონ მაინც.

საქართველოში ჩასატარებელი არჩევნებისთვის კიევში უფრო „ემზადებიან“. სააკაშვილი აცხადებს, „ჩვენ დავიცავთ ჩვენს არჩევანს, გამოვიყენებთ უახლეს ტექნოლოგიას, დავაყენებთ სახის ამომცნობ სისტემას, ვამზადებთ ავტორიტეტულ ეგზიტპოლებს, მოვახდენთ ახალგაზრდების მობილიზებას საარჩევნო უბანზე“. რისთვის სჭირდება ეს ახალგაზრდები, რისკენაა მისი ტონალობა მიმართული ყოველი არჩევნების წინ?

- მისი ტონალობა ყოველთვის მიმართულია იმისკენ, რომ ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით მიაღწიოს მიზანს. ბოლო ჩამონათვალით დავიწყებ - „ახალგაზრდების მობილიზება“, ეს ძალიან ნიშანდობლივი განცხადებაა და ის ახალგაზრდული მოძრაობები, რომლებიც ბოლო დროს წარმოიშვა და ნაწვიმარზე სოკოებივით მომრავლდა, ძირითადად, სწორედ „ნაცმოძრაობის“ და მისი მომხრეების მიერ შექმნილი მოძრაობებია, მათ მიერ დატრენინგებული, დაფინანსებული. სავარაუდოდ, სწორედ მათ გამოიყენებენ ამ არჩევნებზეც. რაც შეეხება სათვალთვალო კამერებს, მე არ ვიცი, პარტიებს ეძლევათ თუ არა უფლება, საარჩევნო უბნებზე საკუთარი კამერები დააყენონ. არა მგონია, ამის უფლება ჰქონდეთ. შეიძლება, თვითონ დამკვირვებლებს ჰქონდეთ ასეთი კამერა, მაგრამ შეუძლიათ კი ნაციონალებს საკუთარი დამკვირვებლები აღჭურვონ ასეთი კამერებით? ამას ვერ გეტყვით, მაგრამ, ზოგადად, ვფიქრობ, მათ ძალიან კარგად იციან, რომ არჩევნებში ვერ მიიღებენ იმაზე მეტ ხმას, რა მხარდაჭერაც მათ აქვთ არსებული გამოკითხვებით, დაახლოებით იმდენივე იქნება მათი ელექტორალური მხარდაჭერა, რაც არ იქნება საკმარისი არჩევნების მოსაგებად და მთავრობის ჩამოსაყალიბებლად. ვნახოთ ახლა ერთიანობაში ოპოზიცია რამდენ ხმას აიღებს. ერთია გამოკითხვები და მეორეა ის, თუ ადამიანები რეალურად რა განწყობით მივლენ საარჩევნო ყუთთან. არჩევნებამდე სამი თვეა დარჩენილი, ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, რამაც ამომრჩევლის განწყობა შეცვალოს ან ერთი, ან მეორე მიმართულებით.

თუმცა, ჯერჯერობით, „ქართული ოცნება“ უპირატეს მდგომარეობაშია, მისი უპირატესობა კიდევ უფრო გაღრმავდება, თუკი ოპოზიციაში გაღრმავდება ის პროცესები, რაც ამ დღეებში დაიწყო, რომ ვერ შეთანხმდნენ მაჟორიტარულ ოლქებზე, გარკვეული დაპირისპირებები დაიწყო ერთმანეთს შორის პიროვნულ დონეზე, უკვე ვნახეთ, რომ ნაციონალები და „ევროპული საქართველო“ ერთმანეთს უპირისპირებს მაჟორიტარ კანდიდატებს. „ევროპულმა საქართველომ“ უკვე გამოაქვეყნა თავისივე კანდიდატების ჩამონათვალი, სავარაუდოდ, „ნაცმოძრაობაც“ უახლოეს ხანში გამოაქვეყნებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიციური ხმები იქსაქსება. ისინი ერთმანეთს წაართმევენ ხმებს და ეს ყველაფერი „ქართული ოცნების“ წისქვილზე მიუშვებს წყალს.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

◎ უზნეო ფუთფუთი

მწუხარებას სიჩუმე უხდება...

700 „ბოტი“ ინდოეთიდან

გიორგი შაქარაშვილის ხმაურიანი საქმე თამარ ბაჩალიაშვილის საქმემ ჩაანაცვლა, ანუ ის მედიაისტერია ამ მედიაისტერიამ გადაფარა: რა თქმა უნდა, საზოგადოების შოკირება არ უნდა შესუსტდეს, საზოგადოებას არ უნდა დარჩეს იმის დრო, რომ საკუთარ პრობლემებზე იფიქროს, თავს მიხედოს!

რაც მთავარია, ამ წრეგადასულ ხმაურს აქვს გამოკვეთილი მიზანი: საზოგადოებას აღუძრას ეჭვი, რომ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში უშუალო დამნაშავეა ხელისუფლება, „ქართული ოცნება“, თვით ბიძინა ივანიშვილი, რომ ხელისუფლება ხელს აფარებს მკვლელებს, ხელს უშლის გამოძიებას, რათა სიმართლემ არ იზეიმოს, საკუთარი თავი არ გამოააშკარაოს!

გამოითქმება ყოვლად აბსურდული, უგუნური ვერსიები, რომლებიც ობივატელს ჭეშმარიტებად მიეწოდება. ყველაფერი კეთდება, რათა გირგვლიანის „შემცვლელი“ მოიძიონ და ეს ძიება მით უფრო ცხოველდება, რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, რაც უფრო იშაშრება, იბზარება ოპოზიციის ერთობა და გამოცხადებული უეჭველი გამარჯვება სულ უფრო და უფრო საეჭვო ხდება.

პარლამენტარი მამუკა მდინარაძე ცილისმწამებლური კამპანიის შესახებ თავის პოსტში გულისტკივილით ამბობს, ჯერ გიორგი შაქარაშვილის საქმის დაკავშირება სცადეს ბიძინა ივანიშვილთან და ოჯახს, შვილს მიადგნენ, რა თქმა უნდა, უშედეგოდ, ახლა თამარ ბაჩალიაშვილს მიაყენეს მძიმე შეურაცხყოფა, დააბრალეს დანაშაული, ბერას კომპიუტერში შეაღწიაო. მიზანი – რევანში, სამიზნე კი ისევ ბიძინა ივანიშვილიაო.

მაგრამ ბიძინა ივანიშვილის „სამიზნეობას“ კიდევ გაუძლებდა კაცი, მთავარი ის არის, რომ სასწორის პინაზე ქვეყნის პრესტიჟი, ღირსება დევს. მას ესვრიან ტალახს და წუნწუხს. ხალხში ამკვიდრებენ აზრს, რომ არ შეიძლება ხელისუფლების ნდობა, რომ ის უძლურია, დაიცვას თავისი მოქალაქეები, უუნაროა სამართლიანობის დამკვიდრებაში. „ჩვენ გვეშინია შვილების ქუჩაში გაშვება, რათა არ დაგვიხოცონ!“ – ეს ფრაზა უკვე მოარულად იქცა ჩვენი ოპოზიციონერი პოლიტიკოსების და ჟურნალისტებისთვის.

მაგალითად, თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატს მიხეილ რამიშვილს, რომლის პროფესიული უნარი და შესაძლებლობანი დიდ ეჭვს ბადებს, მომარჯვებული აქვს უტყუარი ხერხი: „მათ“ გადაწყვეტილი აქვთ, რომ არავითარი გამოძიება არ ჩატარდეს, არავითარი დამნაშავეთა ჯგუფი არ გამოვლინდეს, ვინც მკვლელობა ჩაიდინა. თვითმკვლელობის იქით არაფერს გამოიძიებენო.

ის „მათი“ შეთქმულების მთავარ არგუმენტად დებს „ფაქტს“ – „თამარი არავითარ შემთხვევაში თავს არ მოიკლავდა, რომ მისი ლეპტოპი საშინელ მდგომარეობაშია, ყველაფერი წაშლილია და ამით გადაწყვეტილი აქვთ, რომ არ გამოიძიონ საქმე და ამათ ხელს აფარებენ ამ ბავშვის მკვლელობით.

იგი არც უფიქრდება, რომ თამარს შეეძლო, თავისი ლეპტოპი თვითონ „დაეცალა“, გაესუფთავებინა, რადგან სამსახურში უნდა ჩაებარებინა, საიდანაც წამოსვლა გადაწყვეტილი ჰქონდა. ან აქვს კი უფლება ადვოკატს, ასეთი მძიმე ბრალდებები წამოუყენოს სახელმწიფოს

წააკითხეთ ნაცებს და იმათ მხარდამჭერებს!

პოლ საუნდერსი

პატივცემულო რედაქცია,

ამ წერილს გიგზავნით ნიუ იორკიდან აქ მცხოვრები ქართველი და გთხოვთ, გამოაქვეყნოთ იგი, თუ შესაძლებელი იქნება, როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული სახით. გიგზავნით პოლ საუნდერსის სტატიას ინგლისურადაც. ძალიან დამავალებთ, თუ მიპასუხებთ ამ წერილზე.

პატივისცემით, მიხეილ გამყრელიძე

დღეს, როცა საპარლამენტო არჩევნებამდე სამიოდე თვე რჩება და ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები დიდი ვნებათაღელვით პაექრობენ ჩვენი ქვეყნის მომავალზე, კარგი იქნება თუ ყურადღებით წავიკითხავთ სტატიას, რომელიც გაზეთ ვაშინგტონ პოსტში გამოქვეყნდა ე. წ. ხუთდღიანი ომის დამთავრებისთანავე, როცა ჯერ კიდევ არ იყვნენ დაკრძალული ამ ომში დაღუპულები. თუმცა ჩვენი მაშინდელი მთავარსარდალი ირწმუნებოდა, რომ ამერიკის მთავრობა თანაგრძნობით ეკიდებოდა მის ამ ნაბიჯს და მეექვსე ფლოტის გამოგზავნასაც კი განიხილავდა მის დასახმარებლად.

სინამდვილე სრულიად საწინააღმდეგოა. ამერიკის მმართველმა ელიტამ ერთმნიშვნელოვნად დაგმო არა მარტო ეს ავანტიურა, არამედ სააკაშვილის მთავრობის პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში, თუმცა ამავე დროს განაცხადა, რომ არ დაუშვებს რუსეთის მხრიდან ძალისმიერ ჩარევას საქართველოს შინაურ საქმეებში.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ უნდა შევძლოთ, მოვაგვაროთ ჩვენი ურთიერთობები ჩვენს დიდსა თუ პატარა მეზობლებთან და არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ ამას ნატო ან ევროკავშირი გააკეთებს ჩვენს მაგივრად. როგორც სჩანს, ჩვენს დღევანდელ მთავრობას ესმის ამის აუცილებლობა და ქ-ნმა პრეზიდენტმა თავის საინაუგურაციო სიტყვაში გააკეთა კიდეც შესაბამისი მიმართვა, მაგრამ საქმე წინ არ წაწეულა და პირიქით — გაუარესდა! ლეიბორისტული პარტიის ოფისში ანუ, ე. წ. შალიკოს ფანჩატურში შეკრებილი ოპოზიციური პარტიების ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ რუსეთთან და განდგომილი რეგიონების ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აზრი არა აქვს და უნდა დავიცადოთ, სანამ რუსეთი ჩამოიშლება. თვითონ ბატონი შალვა კი ფიქრობს, რომ საჭიროა, ჩვენმა მთავრობამ თხოვნით მიმართოს პრეზიდენტ დონალდ ტრამპს საქართველოში ატომური ჭურვებით შეიარაღებული სამხედრო ბაზის შექმნის შესახებ. **საინტერესოა, რას ფიქრობს ამის თაობაზე საქართველოს მოსახლეობა, პირველ ყოვლისა, საქართველოს ინტელიგენცია, მოახლოვებული არჩევნების წინ?**

საქართველოს უგუნურება

სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ბედი მთავარ საკითხს წარმოადგენს, რომელიც დღემდე მოუგვარებელია საქართველოსა და რუსეთს შორის ომში. ამასთან აშკარაა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავის სამხედროებს უბრძანა, ძალის გამოყენებით განევრცოთ მისი ხელისუფლება სამხრეთ ოსეთზე. ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა უნდა იფიქრონ, რა შედეგებს მოუტანს სააკაშვილის საქციელი აშშ-ის პოლიტიკას საქართველოში, რუსეთსა და რეგიონში.

სააკაშვილმა შეტევის ბრძანება გასულ კვირას გასცა, თუმცა იცოდა, რომ სამხრეთ ოსეთი წინააღმდეგობას გაუწევდა, რომ მის ძალებს რუს სამშვიდობოებთან შეჯახება მოუწევდათ და იცოდა ისიც, რომ მოსკოვი ომისთვის ემზადებოდა. სწორედ მისი მთავრობა გარკვეული დროის განმავლობაში აკეთებდა განცხადებებს რუსეთის მხრიდან თავდასხმისთვის მზადების შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტს აშკარად იმისი იმედი ჰქონდა, რომ მისი ჯარები სწრაფად დაიპყრობდნენ სამხრეთ ოსეთს და რომ რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი და პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი არ ჩაერეოდნენ, რათა ამით დასავლეთის, განსაკუთრებით შეერთებული შტატების პროვოცირება არ მოეხდინათ. ამგვარი ლოგიკა უდევს საფუძვლად თბილისის გრძელვადიან საგარეო-პოლიტიკურ გათვლებს. ისტორიის განმავლობაში, ძლიერი მეზობლების მქონე სუსტი სახელმწიფოები თავგამოდებით ეძებენ ძლიერ მოკავშირეებს. მაგალითად, სერბეთი — რუსეთის მხარდაჭერას ავსტრია-უნგრეთის იმპერიის წინააღმდეგ, ხოლო პოლონეთი — ბრიტანეთისას ნაცისტური გერმანიის შესაკავებლად.

სააკაშვილმა დიდი ენთუზიაზმით მოკიდა ხელი ამ ნაცადი სტრატეგიის განხორციელებას და ქვეყნის მცირე ჯარის მნიშვნელოვანი წილი ერაყში გაგზავნა (საიდანაც გასულ დღეებში ეს ჯარი გაგები მიზეზის გამო, უკან გამოიწვიეს), ამავე დროს თუთიყუშივით იმეორებდა ბუშის ადმინისტრაციის განცხადებებს საერთაშორისო საკითხებზე — განსაკუთრებით კი დემოკრატიაზე, რაშიც მან მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ლიდერს აჯობა.

საბოლოო ჯამში, საქართველოს პრეზიდენტისთვის მნიშვნელობა არა აქვს, შეერთებული შტატები დემოკრატია იქნება, თეოკრატია, თუ უცხოპლანეტელების მიერ მართული სახელმწიფო, ოღონდ კი ვაშინგტონის გამოყენება შეძლოს ქართულ-რუსული ურთიერთობების დინამიკის შესაცვლელად.

სააკაშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები ცხადყოფს, თუ რაოდენ კარგად აითვისა მან ამერიკის ღილაკებზე დაჭერა, ალბათ **მისი მთავრობის ლობისტების დახმარებით ვაშინგტონში**. რამდენიმე ინტერვიუში და სტატიაში, მათ შორის, გუშინდელ **Post**-ში, მან რუსეთის ბოლო ომი საქართველოსთან საბჭოთა ჯარების უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და ავღანეთში შეჭრას შეადარა. მან ასევე გაიხსენა ყოფილი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი და შეეცადა, ეს ომი რუსეთის დასავლურ ფასეულობებზე თავდასხმად წარმოედგინა. „ჩვენ თავს დაგვესხნენ, იმიტომ რომ გვინდოდა, ვყოფილიყავით თავისუფალი“, — თქვა მან CNN-ზე.

მაგრამ საქართველოს შიდა ვითარება სააკაშვილის თავისუფლებისმოყვარეობის შესახებ რიტორიკული განცხადებების სიცრუეზე მიუთითებს. ყველაზე ნათლად ეს გამოჩნდა ოპოზიციის საპროტესტო აქციების ჩახშობისას შარშან შემოდგომაზე. სახელმწიფო დეპარტამენტის 2007 წლის ადამიანის უფლებათა დასკვნაში, რომელიც მხოლოდ რამდენიმე თვის წინ გამოქვეყნდა, აღნიშნულია „სერიოზული პრობლემები“ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ და „ძალის გადაჭარბებული გამოყენება დემონსტრაციების დასაშლელად“; „პოლიციელთა დაუსჯელობა“; და სიტყვის თავისუფლების, პრესის თავისუფლების, შეკრების თავისუფლებისა და პოლიტიკური მონაწილეობისადმი პატივისცემის შემცირება. ანა დოლიძე, დემოკრატიის დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე, დეტალურად აღწერს, თუ როგორ მოქმედებდა სააკაშვილი თანამდებობაზე მოსვლისთანავე, პარლამენტის ხარჯზე აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების გასაზრდელად მთავრობის გაძლიერების მიზნით, „პოლიტიკური გამოხატვის დათრგუნვით, გავლენიან მედიაზე ზეწოლის გზით“ და „კრიტიკული აქტივისტების და ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ გამიზნულად მოქმედებით“, — მათ შორის სამართალდამცავი ორგანოების გამოყენებით. სააკაშვილი შორს არის ზნეობრივად სუფთა დემოკრატისგან, როგორადაც ის ცდილობს დასავლეთს თავი მოაჩვენოს.

საქართველოს შინაგანი რეალობა ცხადყოფს, რომ ომი ატყდა, პირველ რიგში, არა იმის გამო, რასაც ქვეყანა წარმოგვიჩენს, არამედ მისი მთავრობის ქმედებების გამო. თბილისს შეეძლო, თავიდან აეცილებინა დაპირისპირება, თუ თავის ამბიციებს სამხრეთ ოსეთის ძალით დამორჩილებაზე გვერდზე გადადებდა და მხოლოდ მშვიდობიანი გზით იმოქმედებდა.

ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, **რომ შეერთებული შტატები და რუსეთი ერთად მუშაობდნენ ქართულ ოპოზიციასთან, რომ გაეადვილებინათ მაშინდელი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებიდან წასვლა, რამაც საბოლოოდ სააკაშვილი ამ თანამდებობაზე მოიყვანა. სააკაშვილისადმი რუსეთის დამოკიდებულება შეიცვალა გასული ხუთი წლის განმავლობაში, როდესაც მოსკოვი ხედავდა თბილისის სულ უფრო და უფრო მტრულ განწყობილებას და სააკაშვილის მუქარას**, რომ ძალის გამოყენებით 2004 წელს დაამხობდა ავტონომიური რეგიონის აჭარის მთავრობის.

ყველაფერი ეს არ ამართლებს რუსეთის მოქმედებებს. მაგრამ თუ მოსკოვი იმას ელოდა, რომ სააკაშვილს მისთვის საბაბი მიეცა, მით უფრო სისულელე იყო მისგან ამის გაკეთება. სამწუხაროდ, საქართველოს ლიდერმა მოსკოვს შეაძლებინა, ნათლად წარმოეჩინა რუსეთის უშუალო სამეზობლოში ამერიკული ინტერესების საზღვრები. კრემლს იქ ბევრად მეტი ინტერესები აქვს, ვიდრე ვაშინგტონს და მზადაა, იმოქმედოს მტკიცედ და დიდი ძალის გამოყენებით. იმის გათვალისწინებით თუ რა პოტენციური გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს რუსეთთან ურთიერთობის სერიოზულ გაუარესებას, ამერიკა მზად არ არის, უფრო მეტი გააკეთოს საქართველოსთვის, ვიდრე ჰუმანიტარული დახმარების გაწევა, იმის განცხადება, რომ აშშ-ის ძალები არ დაიცავს იმ პორტებსა და აეროდრომებს, სადაც დახმარება ჩავა და სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის გაგზავნა შემთხვევის ადგილზე.

ამ რეალობების საქვეყნოდ გამომზეურება შეერთებული შტატების პოლიტიკის უმთავრესი მარცხია, რაც ძირს უთხრის ამერიკის მიზნებს რეგიონში. იმედია, რომ ბუშის ადმინისტრაცია პირადად შეატყობინებს მოსკოვს, რომ სააკაშვილის გადაცდომის მიუხედავად, შეერთებული შტატები არ შეეგუება მის ძალით მოშორებას, ხოლო საქართველოს მთავრობას ამცნობს, რომ **ამერიკას არ სჭირდება უგუნური მეგობრები**.

პოლ ჯ. საუნდერსი,
ნიქსონის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, 2003 წლიდან 2005 წლამდე — სახელმწიფო მდივნის მრჩეველი.

პარასკევი, 2008 წლის 15 აგვისტო

ფაქტების მოუხმობლად, თანაც გამოძიების დამთავრებამდე?

შსს-ს მიერ შუალედური მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ, ე.წ. „ბოტები“ საოცრად გააქტიურდნენ და წუნწუხის ზღვა დააყენეს. 700-მდე (!!!) „ბოტი“, რომლებსაც საცხოვრებელ ადგილებად მითითებული აქვთ ინდოეთი და აზიის სხვა, შორეული ქვეყნები, კითხვებს კითხვებზე სვამენ, საქართველოს წარმოაჩენს უსუსურ, არშემდგარ ქვეყნად, ოღონდ აშკარად იკვეთება „დირიჟორის ხელი“.

უდავოა: გარკვეული წრეები საკუთარი ინტერესების გამო, „ბოტების“ გამოყენებით ცდილობენ საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენას და გამოძიების მიმდინარეობის დისკრედიტაციას.

რამ შეაშფოთა ადვოკატი და ბოტები? იმან ხომ არა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 აგვისტოს გამოაქვეყნა თამარ ბაჩალიაშვილის საქმის პირველი, ხოლო 6 აგვისტოს მეორე ნაწილი, სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებული ზოგიერთი დასკვნა. კერძოდ ის, რომ შემთხვევის ადგილზე მანქანაში აღმოჩენილი მცირე ზომის ფურცელზე არსებული ჩანაწერი: „ანაბარზე თანხაა, გამოიყენეთ“ შესრულებულია თვით თამარის ხელით, რომ მანქანა იყო დაკეტილი, ავტომანქანის გასაღები კი უკანა სავარძელზე იდო, რის გამოც ავტომანქანა გააღეს ოჯახის წევრთა მიერ წარმოდგენილი სათადარიგო გასაღებით. ასევე: გადამოწმდა დაღუპული გოგონას ანგარიშები და ერთ-ერთ ბანკში ანაბარზე აღმოჩნდა 75 ათასი ლარი, რომ თამარი ინტერნეტში ეძებდა „თვითმკვლელობის საუკეთესო გზას, საძილე წამლებს და ფეისბუქის ანგარიშის წაშლის მექანიზმს სიკვდილის შემდეგ“...



ადვოკატი და ოჯახი უკმაყოფილონი არიან გამოძიების მხრიდან ამგვარი მასალების გასაჯაროებითა და აქცენტირებით, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ გოგონამ თავი მოიკლა. თუმცა, ეს საბოლოო ვერდიქტი არ არის — გამოძიება გრძელდება.

ოჯახმა და ადვოკატმა აქცია გამართეს აშშ-ის საელჩოსთან.

ოჯახს შეხვდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

ოჯახს შეხვდა საქართველოს გენერალური პროკურორი ირაკლი შოთაძე.

თამარ ბაჩალიაშვილის დედა ქალბატონი თეონა თამაზაშვილი მოითხოვს, რომ გამოძიებაში ჩაერთოს აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო და მან აბსოლუტურად ყველაფერი გამოიძიოს: რატომ დაიკარგა თამარი, რატომ ვერ მოძებნეს ის 5 დღის განმავლობაში, რატომ წაიშალა კომპიუტერში ყველაფერი და გასუფთავდა. ქალბატონ თეონას არ აწყობს საქმეში აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს მხოლოდ კონსულტაციების დონეზე ჩართვა!

გენერალური პროკურორი ოჯახს შეჰპირდა, რომ ის დაუკავშირდება ამერიკის მხარეს.

ეს მართლაც წაადგება საქმეს. ოღონდ, ალბათ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გამოძიების ბიურო სასწაულმოქმედი არ არის და, რომ თავის დროზე მან აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ კენედის მკვლელობის გამოძიება ვერ მიიყვანა ბოლომდე, 57 წლის შემდეგაც, დღემდე შემორჩა უამრავი ეჭვი...

რა სახით და რა ფორმით ჩაერთვება (თუ ჩაერთო) გამოძიებაში ამერიკული მხარე? იქნება ეს დახმარება ექსპერტიზაში, თამარის კომპიუტერიდან სრული ინფორმაციის ამოღებაში? რა დრო დასჭირდება თანამშრომლობის გაფორმებას?

გარდაცვლილის მშობლებს, რა თქმა უნდა, უფლება აქვთ, სჯეროდეთ ან არ სჯეროდეთ, ენდონ ან არ ენდონ. მაგრამ, დიდი მორიდებით: უმჯობესი ხომ არ იქნება, უფრო ფხიზლად დააკვირდნენ, რა უზნეო ფუთფუთია მათ გრშემო.

მწუხარებას სიჩუმე უხდება!

სანდრო ალექსიძე

„ბაიდენი“ ბიბლიასა და უფალს ავნებს“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ოჰაიოს შტატში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ „დემოკრატების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ჯო ბაიდენის წინააღმდეგ გამოდის.

„ჯო ბაიდენი ღმერთის წინააღმდეგია. ის იარაღის წინააღმდეგია. ჯო ბაიდენი რადიკალი მემარცხენეების დღის წესრიგს ატარებს. ის

იარაღს წაგართმევთ, კონსტიტუციის მეორე შესწორებით მინიჭებულ უფლებებს გაანადგურებს. არ იქნება რელიგია, არაფერი იქნება. იგი ბიბლიასა და უფალს ავნებს“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც ერთმანეთს დონალდ ტრამპი და ჯო ბაიდენი დაუპირისპირდებიან, მიმდინარე წლის 3 ნოემბერს გაიმართება.

„ჩემს შვილს პრეზიდენტობისთვის არ ვამზადებ“

ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ თავის უმცროს შვილს პრეზიდენტის როლისთვის არ ამზადებს.



ამის შესახებ ალექსანდრე ლუკაშენკომ უკრაინელ ჟურნალისტთან დიმიტრი გორდონთან ინტერვიუში განაცხადა.

დიმიტრი გორდონის კითხვას, ამზადებს თუ არა პრეზიდენტობისთვის თავის შვილს, ალექსანდრე ლუკაშენკომ უპასუხა: **„არა. ჩემი კოლია, ალბათ, არასდროს იქნება პრეზიდენტი“.**

ბელარუსის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ მას თავად არ სურს, რომ ეს მოხდეს.

„კოლია წინასაარჩევნო კამპანიის დროს დამყვებოდა, ყველა შეხვედრას ესწრებოდა. შევატყვე, რომ შეიცვალა. მან ეს სიბინძურე დაინახა“, — დასძინა მან.

პრინცს მკვლელობის მომზადებაში ადანაშაულებენ

საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინც მუჰამედ ბინ სალმანს კანადაში ქვეყნის ყოფილი მაღალჩინოსნის ლიკვიდაციის მიზნით მკვლელების რაზმის გაგზავნაში ადანაშაულებენ.

გამოცემის ინფორმაციით, მათი სამიზნე საად ალ-ჯაბრი იყო, რომელსაც საუდის არაბეთში არაერთი გავლენიანი თანამდებობა ეკავა. 3 წლის წინ ის ქვეყნიდან გადასახლდა და მას შემდეგ ტორონტონში, კერძო დაცვის ქვეშ ცხოვრობს.

მისი მკვლელობის გეგმა მას შემდეგ ჩაიშალა, რაც კანადელმა მესაზღვრეებმა პრინცის რაზმი ქვეყანაში არ შეუშვეს. საუბარი სწორედ იმ რაზმზეა, რომელმაც თურქეთში ჟურნალისტ ჯამალ ხაშაღის მკვლელობაში მონაწილეობდა. ალ-ჯაბრი აცხადებს, რომ პრინცს მისი მოკვლა იმ ინფორმაციის გამო სურს, რომელსაც ის სამეფო ოჯახზე ფლობს.

საჩივარი პრინცის წინააღმდეგ აშშ-ის სასამართლოშია შეტანილი. საუდის არაბეთის მთავრობას კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია.

ჯამალ ჰაშაღი სტამბოლში, საუდის არაბეთის საკონსულოში 2018 წლის ოქტომბერში მოკლეს. ის საუდის არაბეთის მთავრობას მწვავედ აკრიტიკებდა. მოკლული ჟურნალისტის დანაწევრებული სხეული ამ დრომდე არ არის ნაპოვნი.

8 თებერვალს გაერომ თავისი ექსპერტების დასკვნა გამოაქვეყნა, რომლის თანახმად, საუდელი ჟურნალისტის ჯამალ ჰაშაღის მკვლელობა საუდის არაბეთის მაღალჩინოსნებმა დაგეგმეს და შეასრულეს. საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გაეროს გამოძიების დასკვნის შედეგებს უარყოფს. ივლისში თურქეთის სასამართლომ ჟურნალისტ ჯამალ ჰაშაღის მკვლელობის საქმის განხილვა განაახლა.

„მოით, მოქუჩდით, ამბავს ავწერ ადრინდელსა“

რუბრიკას უძღვება ქეთევან ყუბანეიშვილი

ტფილისური ქარვასლეგი და რა შუაშია „ტილიპუჭურას დუქანი“?

ჩვენ თბილის-ქალაქს ემახსოვრება ზანტი რხევით, ერთმანეთის მიყოლებით რომ დაიზლაზნებოდნენ აქლემები ქუჩებში ერთ დროს. ყველაზე მრავლად აქლემებს კი პესკებზე ნახავდით, იქ, სადაც თივის ბაზარი იყო და რომლის შორი-ახლო ყოფილა მანთაშოვის, მირზოევის, ხოსროევის, უსტა-მეჰტი ჰუსეინ-ოღლის, ძმები აფრიკიანცების, ხოჯა პარუმბეკოვისა და ვახ, რა მოთვლის კიდევ ვისი ქარვასლები?!





ტფილისური ქარვასლები

„...ტფილისის ქარვასლა საინტერესო სანახავია. მის ჭიშკარში აქლემებით, ცხენებითა და სახედრებით შედის და გამოდის აღმოსავლეთის ყველა ერის წარმომადგენელი...“ და ალბათ, ამიტომ იყო ტფილისის ქარვასლებში მრავლად საცხოვრებელი ოთახები თუ საავჭრო დუქნები, საქონლის შესანახი სარდაფები თუ საჯინიბოები და რადგან უცხოეთიდან შემოტანილი საქონელი მთელ ამიერკავკასიაში ტფილისიდან ნაწილდებოდა, ქარვასლებშივე ხდებოდა სავაჭრო შეხვედრები, გარიგებები თუ კომერციული ოპერაციები. კალაუბანში კი ქარვასლები მრავლად ყოფილა ერთ დროს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი არწრუნის ქარვასლას ეჭირა და რომელიც დღემდე იწონებს თავს სიონის ტაძრის გვერდით. ქარვასლა XVII საუკუნეში როსტომ მეფეს უშენებია და ეპისკოპოს თბილელისთვის უბოძებია, რომელიც შეეწირება იმ საჭურისი აღა მაჰმად-ხანის დამანგრეველ შემოსევას (1795 წ.) და მის ადგილზე ახალ ქარვასლას ცნობილი ვაჭარი გეურქ არწრუნი ააგებს (1820 წ.), რომელსაც ძმები აფრიკიანცები დაეპატრონებიან (1912 წ.), ფასადს მოდერნის სტილით შეცვლიან და აწ, უკვე ყოფილი არწრუნის ქარვასლა თავის დანიშნულებას 1924 წლამდე შეინარჩუნებს... (დღეს აქ განთავსებულია ი. გრიშაშვილის სახ. თბილისის მუზეუმი).

კალაუბანშივე ყოფილა თეკლას ულამაზესი ქარვასლა, რომელიც მეფეთა ფუნდუკის (სასტუმრო სახლი) ადგილზე აშენებულა და რომელიც ერეკლეს II-ს თეკლა ბატონიშვილისთვის მზითვებში უბოძებია, მაგრამ... მაგრამ თეკლას ქარვასლაც არწრუნის ქარვასლის ბედს გაიზიარებს მალე...

ეხლა კი იმ ქარვასლაზე გიამბობთ, რომელმაც ჩვენ თბილის-ქალაქს გეოგრაფია შეუცვალა. ჰო და მოით, ეხლა მოგაქუჩებთ და დროებით კალაუბნიდან „ერივანსკის მოედანზე“ გადაგანაცვლებთ.

გემახსოვრებათ „ევრაპეისკაია ჩასტ ტიფლისას“ ისტორია გიამბეთ და ისიც გემახსოვრებათ, კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი ტფილისელ ვაჭარს გაბრიელ თამამშევს **„ორ დოშად და ორი საკაბის ფასად“** რომ გაურიგდა და გარეუბანში მიწა გამოუყო ახალი ქარვასლა-თეატრის ასაშენებლად.

ქარვასლა-თეატრი 1851 წლის 9 ნოემბერს დიდი „ცუმპა-რამპათი“ გახსნილა და ამ დღეს ტფილისელები პირველად ეზიარნენ იტალიურ ოპერას, რამაც დიდად აღაფრთოვანა მაშინდელი Тифлисская знать და არა მარტო Тифлисская знать — **„... საქართველოში... არც არავინ იცნობდა ასეთ სანახაობას... და აქაურმა ხალხმა, რომელიც სხვათაშორის იოლად ითვისებს ყველაფერ მშვენიერსა და კარგს, იტალიური ოპერა აღფრთოვანებით მიიღო... ბევრ სახლში და... ქუჩებშიაც კი ისმის იტალიური მუსიკის მოტივები და ბევრი... ადგილობრივი სამხრეთელი „ტუზემცი“ სწავლობს სიმღერას და მუსიკას იტალიური ოპერის აქტიორებისაგან“** — მ. ვორონცოვის წერილი იმპერატორ ნიკოლოზ I-ს.

რაც შეეხება თავად ქარვასლას — მდიდარი ტფილისელები კიდევ დიდხანს შეძლებენ, ქარვასლაში იყიდონ ფრანგული წარმოების აბრეშუმის ქსოვილები თუ ბარხატი, ხელოვნური ყვავილები თუ „შლიაპები“, ქალისა და მამაკაცის შეკერილი ტანსაცმელი, „ზონტიკები“, ხელთათმანები და მრავალი რამ, რომ არა — 1874 წლის 11 ოქტომბერს ერივანსკის მოედანზე დიდი ჩოჩქოლი ამტყდარა — „არტისტები უკვე გრიმსაც კი იკეთებდნენ, რომ უცბად ქარვასლის შენობაში გაჩნდა ცეცხლი. პირველი ალი ამოვარდნილა ყაზაროვის მაღაზიიდან. ეს ყველას უკვირდა, რადგან მაღაზიები ადრე იკეტებოდა და, მთავრობის განკარგულებით, არასდროს სანთელანთებულნი არ ვაჭრობდნენ... როგორც შემდგომ გამოძიებამ დაადგინა... გაკოტრების მიზნით, ვინმე ყაზაროვს (თუ ლაზაროვს) თავის სავაჭროში შუქი განზრახ დაუტოვებია...“ — ი. გრიშაშვილი.

ასე დაიწვა ტფილისის პირველი ქარვასლა-თეატრი და თამამშევმა დიდი ზარალიც კი ნახა, მაგრამ ქარვასლას იგი ისევ აღადგენს, თეატრს კი ვერ ან არ... დასასრულს კი „ტილიპუჭურას დუქანზე“ მინდა გიამბობთ, რომელიც თამამშევის ქარვასლაში ყოფილა განთავსებული და ქალაქის ერთი-ერთი პოპულარული იაფიანი დუქანი გახლდათ ერთ დროს. ჰო და ამბობენ, ალექსანდრე ყაზბეგი „ტილიპუჭურას დუქანს“ ხშირად სტუმრობდაო, ერთი-ორჯერ მაგრად უცემიათო და იმასაც ამბობენ — აი, ძალიან ცუდი სიმთვრალე კი ჰქონიაო, მააააშ!

„სამშობლო ან სიკვდილი!“

ასე იტყოდა ერნესტო ჩე გევარა

ქართულად გადმოაქნა
გურამ გოგიაშვილმა

სტრიქონები კომანდანტე ჩე გევარას „ბოლშევიკური დღიურიდან“

1967 წლის თებერვლის ანალიზი

ბოლო მშიერმა დღეებმა გვიჩვენეს ენთუზიაზმის მოდუნება და, ის კი არა, მებრძოლთა შორის მკვეთრი დაცემაც.

რაც შეეხება კუბელთ, ის ორი (პანჩო და რუბიოს), მცირე გამოცდილების მქონენი ჯერ თავის სიმაღლეზე ვერ არიან. ბევრთაგან მარკოსი დიდ საზრუნავს გვიჩენს, ვერც რიკარდოა უზადო, დანარჩენები, რაც შეუძლიათ, ყოჩაღობენ.

მომავალი საფეხური საბრძოლო და გადამწყვეტი უნდა გახდეს.

1967 წლის მარტის ანალიზი

ამ თვემ ნაირ-ნაირი მოვლენებით გაგვანებივრა, ახლა პარტიზანული რაზმის განმტკიცების ეტაპი მკაცრად მიმდინარეობს. რაზმის შემადგენლობა უკიდურესად ნელა იზრდება კუბიდან მოსული იმ ზოგიერთი მებრძოლის ხარჯზე, რომლებიც კარგად გამოიყურებიან, და გევარას ხალხის ხარჯზე. გევარას ხალხი ზნეობრივად დაბალი დონისაა (ორი დეზერტირი, ერთი ტყვედ ჩაბარდა და ყველაფერი წამოაყრანტალა, რაც იცოდა, სამმა იფაფასუა, ორი კი უმაქნისია). ახლა ბრძოლის ეტაპია, რაც ჩვენგან ზუსტი დარტყმებით ხასიათდება, ამან კი სენსაცია გამოიწვია, თუმცა ამ ეტაპს ბევრი შეცდომაც ახლდა. ასევე მიდის მოწინააღმდეგის კონტრშეტევა.

ჩვენი რაზმის შემადგენლობა ასეთია:

ავანგარდი: მიგელი (მეთაური), ბენინიო, პაჩო, ლორო, ანისეტო, კამბა, დარიო, ხულიო, პაბლო, რაული;

არიერგარდი: ხოაკინი (მეთაური), მოადგილე – ბრაულიო, მერე რუბიო, მარკოსი, პედრო, ვრაჩი, პოლო, ვალტერი, ვიქტორი (აგრეთვე პეპე, პაკო, ეუსებიო, ჩინგოლო);

ცენტრი: მე, ალეხანდრო, როლანდო, ინტი, კომბო, ნიატო, ტუმა, ურბანო, მორო, ნეგრო, რიკარდო, არტურო, ეუსტაკიო, გევარა, ვილი, ლუისი, ანტონიო, ლეონი (სტუმრები – ტანია, პელადო, დანტონი, ჩინო, სერაფიო – თავშესაფარში არიან).

1967 წლის აპრილის ანალიზი

საქმე ნორმალურად მიდის, თუმცა ჩვენი ორი მებრძოლის დატირება მოგვიხდა – რუბიოსი და როლანდოსი. როლანდოს დაკარგვა განსაკუთრებით დიდი დარტყმა იყო, რამეთუ მეორე ფრონტის მეთაურად ვაპირებდი იმის დანიშვნას, კიდევ ოთხი ბრძოლა გვქონდა. სუყოველს კარგი შედეგი მოჰყვა – ძალიან კარგი – სწორედ აქ, ერთ-ერთ საფარში დაიღუპა როლანდო.

მეორე მხრივ, სრულიად განცალკევებულნი ვიყავით, ავადობამ ჯანი გაუტეხა ჩვენს ამხანაგთ, რის გამოც ბევრი რამ საშუალება გაგვეშვა ხელიდან. დღემდე კავშირი ვერ დაგვიმყარებია ხოაკინის ჯგუფთან, გლეხების მხარდაჭერას ვერა ვგრძნობთ. დროთა განმავლობაში, ალბათ, ისევ ჩვენკენ გადმოვლენ, დავკარგეთ აგრეთვე ლოროც, ტაპერილიასში დაიღუპა.

ჯარის სტრატეგიასთან დაკავშირებით შეიძლება თქმა:

ა) იმის მიერ საკვანძო პუნქტების დაპყრობ ას არცრა სრული შედეგი არ მოუცია;

ბ) პროპაგანდისტული კამპანია განუხრელად გრძელდება, ოღონდ უკვე ორსავე მხრიდან, ჰავანაში ჩემი სტატიის გამოქვეყნების შემდგომ კი აღარავის არ ეპარება ეჭვი, რომ მე აქა ვარ.

შეიძლება ვარაუდი, რომ ჩრდილოამერიკელნი აუცილებლად ჩაერევიან ბოლივიის საქმეებში. ისინი უკვე გზავნიან შვეულმფრენებსა და „მწვანე ბერეტებს“, თუმცაღა ჯერ თვალი არ დაგვიკრავს;

გ) ჯარმა უკეთესად დაიწყო მოქმედება: უცაბედად დაგვესხა თავს ტაპერილიასში და სულით არ დაცემულა მესონში;

დ) ჯარში გლეხების მობილიზაციას ბევრი არაფერი არ მოჰყოლია.

ჩინის სტატუსი იცვლება, ახლა ის ჩვენი მებრძოლი გახდება მეორე ანდა მესამე ფრონტის ჩამოყალიბებამდე. მებრძოლთა ზნეობრივი სულისკვეთება, პარტიზანის სახელწოდების მოსაპოვებლად წინასწარი გამოცდის შემდეგ, მაღალია.

1967 წლის მაისის ანალიზი

ცუდია, რომ ვერა და ვერ ვამყარებთ კავშირს ხოაკინთან, თუმცაღა მუდმივად მთა-მთა დავხეტიალებთ. როგორც ჩანს, თავის რაზმთან ერთად ჩრდილოეთისკენ დაიძრა.

სამხედრო თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს სამი ახალი ბრძოლა, როცა ჯარს ბევრი ჯარისკაცი დავაკარგვინეთ, ჩვენ კი ერთი კაციც არ დაგვიკარგავს, ამასთანავე დავიპყარით პირირენდა და კარაგუატარენდა. ძალიან წარმატებული ოპერაციები იყო, სამსახურებრივ ძაღლებს აღარ იყენებენ ჩვენ წინააღმდეგ.

გასული თვის ყოვლის მნიშვნელოვანი განსაკუთრებულობაა:

1) სრული უკავშირობა მანილთან, ლა-პასთან და ხოაკინთან, რის შედეგად ჯგუფში 25 კაცია შემოგვრჩა;

2) ჩვენს რიგებში გლეხთა ნაკადის შემოუსვლელობა, თუმცა ჩვენი უკვე აღარ ეშინიათ;

3) პარტია სთავაზობს თავის დახმარებას კოლიეს წიაღ და ამჯერად სრულიად უპირობოთ;

4) დებრეს გამო ატეხილმა ხმაურმა ბევრად მეტი რეკლამა შეგვიქმნა, ვიდრე ჩვენ მიერ მოგებულმა ათმა ბრძოლამ;

5) პარტიზანულ მოძრაობას ახასიათებს მაღალი სულისკვეთება, თავის ძალთა რწმენა;

6) ჯერ ვერ არის სათანადოდ ორგანიზებული და არც კიდევ მოქმედების მხრივ გამხდარა მეტად ეფექტური.

თვის მთავარი სიახლეა ლოროს დატყვევება და გამოქცევა. ის ახლა ან შემოგვიერთდება, ან ლა-პასში წავა, რათა იქიდან დაგვიკავშირდეს.

ჯარმა მასიკურის ზონაში გლეხები დააპატიმრა, რაკი ჩვენ გვეხმარებოდნენ. ტერორი დაიწყო, რაც იზემოქმედებს გლეხებზე ორსავე მხრიდან, თუმცაღა სხვადასხვა მიზნით.

1967 წლის ივნისის ანალიზი

კვლავ ვერ ვამყარებთ კავშირს ხოაკინთან და თანდათან ხალხსაც ვკარგავთ. სუყოველი ჩვენი დანაკარგი, თუმცა ჯარმა ეს არ იცის, მნიშვნელოვანი მარცხის ტოლია.

თვის განსაკუთრებულობა:

1. 24 კაცილა დავრჩით, პომბო დაჭრილია, ჩვენი საძრაობა უკიდურესად შეზღუდულია;

2) გლეხები კვლავინდებურად არ გვიერთდებიან, არადა, ხალხი გვჭირდება;

3) ლეგენდა პარტიზანებზე ტალღასავით იზრდება, ამჟამად დაუმარცხებელ სუპერმენებად ვჩანვართ;

4) დემრეს გარშემო ხმაური გრძელდება, იმის სახელს ჩემსას უკავშირებენ, მე კი მოძრაობის ხელმძღვანელად მიმიჩნევენ;

5) ჩემი პარტიზანების სულისკვეთება კარგ სიმაღლეზეა;

6) ჯარი ვერ არის ეფექტური, მაგრამ გლეხებში მუშაობას ეწევა და სიცრუისა და შიშის წყალობით ჩვენს მიზნებთან დაკავშირებით და მაბეზღართა შორის ზოგზოგს იბირებს.

სასწრაფო ამოცანა ის არის, რომ ჩვენი მარაგი შევავსოთ იარაღით, კავშირი დავამყაროთ ლა-პასთან, მოვიმარაგოთ მედიკამენტები, აგრეთვე მივაღწიოთ 50-100 კაცის შემოერთებას ქალაქებიდან.

1967 წლის სექტემბრის ანალიზი

ეს თვე ჩვენი ძალების აღდგენის თვე უნდა გახდეს და თითქმის გახდა კიდეც, თუ არა საფარი, სადაც დაიღუპნენ მიგელი, კოკო და ხულიო. ამას გარდა, ძალიან საშიშ მდგომარეობაში ვართ, დავკარგეთ აგრეთვე ლეონი.

ამ დროის განმავლობაში რამდენიმე მცირე ბრძოლა გადავიტანეთ, როდესაც მოვკალით ერთი ცხენი, ერთი ჯარისკაცი და ერთიც დავჭერით.

სადღაც დადის ცოცხლად გადარჩენილ პარტიზანთა მცირე ჯგუფი და ერიდება ჯართან შეჯახებას.

ყოვლის უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა ახლა აქედან წასვლა და უფრო მარჯვე ზონის პოვნაა.

1967 წლის 1 ოქტომბერი

ზღვის დონიდან 1600 მეტრის სიმაღლე იქნება. ოქტომბრის პირველმა დღემ საკმაოდ მშვიდად ჩაიარა. დილით შევეცადეთ მეჩხერ წარაფთან მისვლა, სადაც ბანაკი დავეცით, დავაყენეთ გუშაგები. კანიონი, რომელიც უნდა გაგვევლო, გაიარა 40 ჯარისკაცმა. მიდიოდნენ და ჰაერში ისროდნენ, ორ საათზე ბოლო სროლებიღა გავიგონეთ. სახლებში არავინ არ არის, თუმცა ურბანომ თვალი ჰკიდა ხუთ ჯარისკაცს, რომლებიც არსადაც არ წასულიყვნენ...

1967 წლის 2 ოქტომბერი

მთელი დღის განმავლობაში არც ერთი ჯარისკაცი არ დაგვინახავს, ჩაგვიარა თხების არვემ, რომელსაც რამდენიმე ქოფაკი ყარაულობდა. ძაღლებმა ყეფა აგვიტეხეს. გადავწყვიტეთ ხშირი შამბნარით წასვლა, კანიონს რომ უახლოვდებოდა. საღამოს 6 საათზე დავეშვით ქვევით, რათა ღამის გასათევად მოვწყობილიყავით და გვევახშმა, თუმცა ნიატო დაგვეკარგა, და ჩამოღამდა კიდეც, გზა ვეღარ განვაგრძეთ. უკან მიბრუნება გადავწყვიტეთ, მაგრამ გზა აგვებნა, რის შედეგადაც მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს, ვერც ვახშამი ვერ მოვამზადეთ.

1967 წლის 4 ოქტომბერი

ხეობაში დავისვენეთ, მერე წავედით და ერთ საათში მეორე ხეობაში გავედით. სამ საათამდე ისევ ცოტა მუხლიდან ქარი ამოვიღეთ, სანამ მზე არ ჩანდა და ისევ გზას დავემწყემსეთ, ცოტა ხანს კიდევ ვიარეთ...

რადიომ გადმოსცა, უკეთუ მე-4 დივიზიის ჯარისკაცები დამიჭერდნენ, კამარის სასამართლო გამასამართლებდა, ხოლო თუ ამას მე-8 დივიზიის ჯარისკაცები იზამდნენ, – სანტა-კრუსის სასამართლო. ზღვის დონიდან სიმაღლე უკვე 1650 მეტრი იყო.

1967 წლის 5 ოქტომბერი

დილის 5:15 საათზე ნახირის სავალი ბილიკიდან გადავედით და ტყეში შევედით. ბენინიო და პაჩო ამაოდ ეძებდნენ წყალს ახლოისად მდებარე სახლის მიდამოებში. დაზვერვა რომ დაამთავრეს, ექვს ჯარისკაცს მოჰკრეს თვალი, ექვსივე სახლში შევიდა. საღამო ხანს ისევ დავიძარით, წყალი ვერ დავლიეთ. ყველას წყურვილი გვკლავდა, ეუსტაკიო სამარცხვინოდ მოიქცა. ქვითინი აუვარდა, წყალი მინდაო, უკიდურესად მძიმე გზის შემდეგ ისევ ტყეში ამოვყავით თავი, საიდანაც ძაღლების ყეფა ისმოდა. აქედან კარგად ჩანდა მაღალი მთა და ჩვენგან არცთუ შორს – ხრიოკი ბორცვი. მე წამალი დავადე ბენინიოს, რომელსაც ფეხი დასჩირქებოდა. ბენინიო მთელი ღამე ტკივილისგან კვნესოდა.

რადიომ გადმოსცა, რომ ჩვენი ორივე კომბა (ბანტუს ჯგუფის ხალხი – **რედ.**) კამირიში გადაეყვანათ, სადაც დებრეს საქმეზე მოწმეებად გამოვიდოდნენ.

ზღვის დონიდან სიმაღლე უკვე 2000 მეტრია.

ჩვენმა დაზვერვამ გაარკვია, რომ ჩვენგან არცთუ შორს სახლი იყო, ხოლო იმას იქით ხეობაში წყარო ჩხრიალებდა. ეგრევე იქით წავედით და მთელი დღე სადილს ვამზადებდით ერთი დიდი ბორობანი ხის ქვეშ, რომლის ხშირი ჩრდილიც ქოლგად გვეხურა. მთელი დღე თავს მოუსვენრად ვგრძნობდი, რაკი მოსახლეობაში მოვხვდით და განვლაგდით ტაფობში. სადილს კარგა ხანი მოვუნდით, მერე წყაროზე ჩავედით. აქედან ბევრად უფრო გულმოდგინედ დავზვერავთ ადგილმდებარეობას, რათა შემდეგი გზა დავსახოთ...

1967 წლის 7 ოქტომბერი

გავიდა ზუსტად თერთმეტი თვე ნიანკაუასში გამოჩენის შემდეგ. არცრა საყურადღებო არა მომხდარ რა. სიწყნარე იყო შუადღემდე, როცა ხეობაში, სადაც განლაგებული ვიყავით, ვიღაც დედაბერი მოგვევლინა, თავის თხებს მწყემსავდა. სამწუხაროდ, დედაბრის დაკავება მოგვიხდა. არცრა ხეირიანად არა უთქვამს რა ჯარისკაცებზე, არც მინახავს და არც არაფერი არ ვიცი, გვეუბნებოდა დამფრთხალი. ერთი ეგ იყო, გზა მიგვასწავლა.

ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ დაახლოებით ერთი ლიგით ვიყავით დაშორებული იგერასსა და ხაგუეის და ორი ლიგით პუკარისგან. საღამოთი ინტი, ანისეტო და პაბლიტო დედაბერს თავის ქოხში ეწვივნენ, დედაბერს ერთი ქალიშვილი შეშლილი ჰყავდა, ხოლო მეორე – ჯუჯა. 50 პესო მისცეს და უთხრეს, რომ ჩვენზე არავისთვის არ ეთქვა რამე. თუმცა არა მგონია, რომ არ იჭორაოს. ხუთ საათზე ისევ გზას გავუდექით. მთვარე ოდნავ ანათებდა და უღელტეხილი უკიდურესად დამღლელი გამოდგა. ძალიან ბევრი კვალი დავტოვეთ ხეობაში, რომელსაც მივუყვებოდით, არც ერთი სახლი არ იდგა, მაგრამ ბევრი კარტოფილის ნათესი შეგვხვდა. ღამის 2 საათზე დასვენება გადავწყვიტეთ, უაზრობად მივიჩნიეთ გზის განგრძობა.

ჯარმა ძალზე უცნაური შეტყობინება გაავრცელა იმის თაობაზე, რომ სერანოში განლაგებული იყო 250 ჯარისკაცი, რომლებიც გზას გადაგვიღობავდნენ ალყაში მოქცეულ 37 პარტიზანს და რომ ჩვენ ვიყავით ორ მდინარეს ასეროსა და ოროს შუა. შეტყობინებამ ძალიან გაგვახალისა...

ეს ბოლო სტრიქონებია, 1967 წლის 7 ოქტომბერს დაწერილი სტრიქონებით კომანდანტე ჩე გევარას დღიური უცებ წყდება.

დასასრული. დასაწყისი იხ. №83-84, 87-91, 94, 96

როდემდე, როდემდე!!!

„ყოველ ხალხს აქვს ის, რასაც იმსახურებს“ – არ ვიცი, პირველმა ვინ თქვა, მაგრამ ეს აქსიომაა.

ძნელია, აფხაზეთის სახელისუფლებო სისტემას აქტიურ, კონსტრუქციულ საქმიანობაში დასდო ბრალი, რადგან სუვერენიტეტის თითქმის 28 წლის განმავლობაში მის მიერ ბევრი რამ არ გაკეთდა იმ პირობებიდან, რომელთა შესრულებაც აუცილებელია სახელმწიფოს განვითარების უზრუნველსაყოფად. მეტიც, ბოლო 15 წლის განმავლობაში აფხაზეთის ხელისუფლება აკეთებს იმას, რაც ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველია – და სწორედ ამის შედეგია ბოლო ორი პრეზიდენტის ჩამოგდება. ხოლო კითხვაზე – რატომ აკეთებთ ამას, მაგრამ არ აკეთებთ იმას? – ხშირად გვპასუხობენ, „რუსები გვაიძულებენ“ ან „რუსები გვიკრძალავენო“. და ეს – იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა სახელმწიფოსთვის და ერისთვის, მაგალითად, რუსებისთვის უძრავი ქონების მიყიდვასა (რასაც რუსები „აიძულებენ“) და ეროვნული ვალუტის შექმნასთან (რასაც რუსები „უკრძალავენ“) დაკავშირებით.

ყველაფერი მაქსიმალურად მარტივად არის გადმოცემული, მარტივად აღქმადია. და სანამ მრავალწლიანი რუსული პროპაგანდით ზომბირებული თანამემამულეები ბრალდებებით დამესხმებოდნენ თავს, განვმარტავ – ეს ჩემი კი არა, აფხაზეთის ძალზე სერიოზული ეკონომისტისა და საზოგადო მოღვაწის ანატოლი ოტირბას სიტყვებია.

რუსეთის მიმართ შეიძლება, განსხვავებული დამოკიდებულება გვქონდეს (ამასთან, ვიღებდეთ მის პენსიას, შემწეობებს, ვსარგებლობდეთ შეღავათებით და სხვა სიკეთეებით), მაგრამ ის ფაქტი, რომ რუსეთი აფხაზეთში საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობს და ამ ლობის ზეწოლა ყველა მცხოვრებზე გავრცელდება – უდავოა.

რუსეთი აფხაზ ხალხს შეგნებულად კლავს!

რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებიდან 12 წელი გავიდა. თუ მანამდე ძლევამოსილი მეზობელი ერთ ციცქნა პარტნიორს დახმარებას უწევდა, ეს – მხოლოდ არაოფიციალურად. მაგრამ 2008 წლის აგვისტოდან ყველაფერი შეიცვალა. აფხაზეთის აღიარებამ რუსეთს უამრავი ვალდებულება დააკისრა, მათ შორის – რესპუბლიკის განვითარების მიმართულებით. გასული წლების განმავლობაში ხელი მოეწერა ათობით ხელშეკრულებასა და უწყებათაშორის შეთანხმებას, რომელთა მთავარი მიზანი, როგორც ყველამ ვიცოდით, დემოკრატიული განვითარების გზაზე აფხაზეთის მომძლავრება იყო.

ამ დოკუმენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ შეთანხმებაა. მრავალგვერდიან დოკუმენტს ორი ქვეყნის ხელმძღვანელობებმა 2014 წელს მოაწერეს ხელი და მასში თანამშრომლობის მრავალი სფეროა აღნიშნული. მათი უმრავლესობა მიმართულია „ორმხრივი, თანასწორუფლებიანი, კონსტრუქციული ურთიერთობების განვითარებაზე მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის, ასევე რეგიონული უსაფრთხოების ხარისხობრივად ახალ დონეზე ასაყვანად... ძალზე მრავლისმომცველია და სერიოზული... თუმცა არსობრივად, ამ შეთანხმების პრაქტიკულად ყველა მუხლი ეხება სამხედრო, საბაჟო, სამართალდამცველ და საბანკო სფეროებს. განვითარებაზე იქ ერთი პუნქტიც კი არ ფიგურირებს. თანაც უფრო მეტად საუბარია რუსეთის უფლებებსა და აფხაზეთის ვალდებულებებზე. ამ, გავიმეორებ – ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფოთაშორის შეთანხმებაში სტრატეგიული პარტნიორობის განვითარების ძირითად მიმართულებებად აღნიშნულია „კოორდინირებული საგარეო პოლიტიკა, თავდაცვისა და უსაფრთხოების საერთო სივრცე, საერთო სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, სულიერი და ჰუმანიტარული სივრცე, აფხაზეთის სრულფასოვანი მონაწილეობა იმ საინტეგრაციო პროცესებში, რომლებიც რუსეთის ინიციატივით ან მხარდაჭერით რეალიზდება“. მთავარი აქცენტი კი, უდავოდ, სამხედრო თანამშრომლობაზე კეთდება. და – გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება – არც ერთი სიტყვა დემოკრატიისა და აფხაზეთის სახელისუფლებო ინსტიტუტების განვითარებაზე.

ამ შეთანხმებას წინ უძღოდა სხვა დოკუმენტი – 2008 წელს კრემლში გაფორმებული „შეთანხმება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“. მასში, სამხედრო მიმართულებასთან ერთად, ნახსენებია „სწრაფვა აფხაზეთის ეკონომიკური ინტეგრაციის მაღალი დონის მიღწევისკენ“ და „ენერგეტიკული და სატრანსპორტო სისტემების გაერთიანებისთვის ზომების მიღება“, თუმცა დაკონკრეტების გარეშე. გაურკვეველია, მაინც რა უნდა ეკეთებინა ამ შეთანხმების საფუძველზე რუსეთს – შეეცვალა, განევითარებინა თუ ფინანსურად შეენახა აფხაზეთი. და არც ამ დოკუმენტში მოიპოვება თუნდაც ერთი სიტყვა აფხაზეთის სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებაზე; არავითარი თუნდაც მინიშნება იმაზე, რომ რუსეთი, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სახელმწიფო, რომელმაც უკვე დიდი ხნის წინ მოახდინა არა მარტო თავისი, არამედ მოკავშირე სახელმწიფოების განვითარების დემოკრატიული გზის დეკლარირება, დახმარებას გაუწევს თავის პატარა მეზობელს ამ მიმართულებით.

ამის ნაცვლად ორივე დოკუმენტი აჭრელებულია ისეთი ფრაზებით, როგორიცაა „არაუგვიანეს 3 წელიწადში გატარდეს ღონისძიებათა კომპლექსი აფხაზეთის საბიუჯეტო კანონმდებლობის რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობასთან დასაახლოებლად“; „გატარდეს ღონისძიებათა კომპლექსი აფხაზეთის საბაჟო კანონმდებლობის ევრაზიული ეკონომიკური კავშირის საბაჟო რეგულირების აქტებთან დასაახლოებლად“ და ა.შ. და ეს ყველაფერი – „ორი ხალხის მეგობრობის განმტკიცების, მრავალმხრივი ურთიერთქმედების, მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის“ სოუსში.

შეგახსენებთ, გავიდა 12 წელი. ამ ხნის განმავლობაში რუსეთი ერთგვარი მეცენატობით, აფხაზეთის „ტივტივის მდგომარობაში“ შენარჩუნებით იყო დაკავებული. ცვლილება მხოლოდ რამდენიმე მიმართულებამ განიცადა, რომელთათვისაც რუსეთი ახალგაზრდა სახელმწიფოს მრავალმილიონიან კრედიტებს აძლევდა. ლიტონ სიტყვებად რომ არ გამოგვივიდეს, გადავატრიალეთ დოკუმენტების მთელი დასტა, მაგრამ ვერ მივაგენით მათ შორის ვერც ერთ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანს, რომელშიც თუნდაც შორეულ პერსპექტივაში განვითარებაზე იქნებოდა საუბარი.

„ამჟამინდელ პირობებში კი ერი არა მარტო არ ვითარდება, არამედ დეგრადირებს და იღუპება. და ეს დიდწილად უფულობის გამო ხდება. უფულობის მთავარი მიზეზი კი, თავის მხრივ, ეროვნული ვალუტის არქონაა. ხოლო კითხვაზე, „რატომ არ ქმნით ეროვნულ ვალუტას?, პასუხია, რუსეთი გვიკრძალავსო. თუ ამ აკრძალვას პრეზიდენტ ბჟანიას მიერ ამას წინათ გახმოვანებულ გაფრთხილებას მივამატებთ რუსებისთვის უძრავი ქონების მიყიდვის თაობაზე, რომელიც ასიმილაციის რისკს შეიცავს, გამოგვივა, რომ რუსეთი ჩვენს ხალხს შეგნებულად კლავს“, – თვლის ანატოლი ოტირბა.

ამასთან, მისივე აზრით, ამ მდგომარეობაში უფრო მეტად დამნაშავე ჩვენი ხელმძღვანელობაა, ვიდრე რუსეთის. **„საქმე იმაშია, რომ ჩვენს ხელმძღვანელობას ქვეყნისა და ხალხისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებში უკვე დიდი ხნის წინ უნდა ჰქონოდა დაკანონებული პოზიცია, გამყარებული ამ საკითხების გადაჭრის პროგრამებით და მათი რეალიზებისთვის ჩვენი პრეზიდენტი შეძლებდა, საფუძვლიანად ეთხოვა ფული რუსი კოლეგისთვის. და, სხვათა შორის, სწორედ მასთან უნდა განიხილავდეს ჩენი პრეზიდენტი ამ დონის საკითხებს და არა (სურკოვის ტიპის) აფერისტ ჩინოსნებთან. მაგრამ ჩვენს ხელისუფლებებს არც პოზიციები ჰქონიათ, არც პროგრამები, რის შედეგადაც აფხაზეთი რუსეთის ღარიბი ნათესავის დამამცირებელ როლში აღმოჩნდა. თანაც, ეს მდგომარეობა იმდენად გაიწელა დროში, საქმე იქამდე მივიდა, რომ პარაზიტი ქვეყნის როლი ნორმად იქცა ჩვენი არა მარტო ჩინოსნებისთვის, არამედ მოქალაქეთა უმრავლესობისთვისაც“,** – დარწმუნებულია ანატოლი ოტირბა.

რუსეთის მიერ განხორციელებული ათობით პროგრამა, მათ შორის – საინვესტიციოც, თითქოს აფხაზური სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარებაზეა მიმართული. მაგრამ რატომღაც მრავალი წლის განმავლობაში რესპუბლიკა მხოლოდ უკან მიექანება – პირველყოფილი წყობისკენ. განვითარების ლანდიც კი არ შეიმჩნევა.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილებისა და მაგალითის არსებობის მიუხედავად, აფხაზეთი ვერა და ვერ ამოდის ორმოდან და ვერ იწყებს სრულფასოვანი პროგრესის გზას. მაგრამ საერთოდაც, შესაძლებელია კი ეს ყველაფერი? სახელმწიფო, რომლის ყველა ძალოვანი უწყება (ჯარი, მილიცია) სხვა ქვეყნის ბიუჯეტიდან ფინანსდება, სრულფასოვანია? და შესაძლებელია თუ არა, ვთქვათ, რომ რუსეთი ზრუნავს სხვა სახელმწიფოს განვითარებაზე, მაშინ, როცა ის (თუნდაც ყველაზე კეთილი მოტივებით) მის შიდა საქმეებში ერევა? ასეც რომ იყოს, გადამეტებულმა „ზრუნვამ“, რომელიც ფინანსურ შენახვას უფრო ჰგავს, მხოლოდ შემაძრწუნებელი შედეგები მოიტანა.

„სადღეისოდ აფხაზეთში შექმნილი ვითარების შეფასებისას ნათელი ხდება, რომ ქვეყნის მართვის ხარისხის მნიშვნელოვანი ამაღლების გარეშე საზოგადოება დეგრადირებას გააგრძელებს, სახელმწიფო კი – პოლიტიკური სუვერენიტეტის ნარჩენების კარგვას. აფხაზი ხალხის ცხოვრებაში დადგა ეტაპი, როცა სასწრაფოდ, დროის კარგვის გარეშე, მაღალი პასუხისმგებლობის გამოჩენით უნდა დაიწყოს სახელმწიფოს რეალური მშენებლობა“, – თვლის ანატოლი ოტირბა.

მაგრამ შესაძლებელია კი ეს რუსეთის არსურვილისა და კოლოსალური ზეწოლის პირობებში? და აქ საქმე არ არის მხოლოდ კრემლის არსურვილში, გვერდში მომძლავრებული მეზობელი – აფხაზეთი იხილოს. პრობლემა უფრო ღრმაა. დემოკრატიის მხრივ აფხაზეთი ეტალონად რუსეთს ვერ აიღებს. და აი, რატომ. დემოკრატიული ეწოდება ქვეყანას, რომლის წყობა და საქმიანობა ხალხის ნებას, ადამიანისა და მოქალაქეების საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს შეესაბამება; ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ყველა ორგანოს ლეგიტიმაციის წყაროს წარმოადგენს ხალხის სუვერენიტეტი. ეს საყოველთაოდ ცნობილია. გამოაცხადო სახელმწიფო დემოკრატიულად (რასაც ტოტალიტარული ქვეყნებიც მარტივად აკეთებენ) – საკმარისი არ არის, მთავარია, უზრუნველყო მისი მოწყობა და საქმიანობა შესაბამისი სამართლებრივი ინსტიტუტებით, დემოკრატიზმის რეალური გარანტიებით. ამ მხრივ კი თავად რუსეთსაც დიდი პრობლემები აქვს. ყველამ ვიცით, როგორ ცხოვრობენ მისი მოქალაქეები, ცხოვრების რა წესები მოქმედებს მსხვილ ცენტრებსა და მოშორებულ ადგილებში. დემოკრატიას აქ ახლოსაც არ გაუვლია. მაშ, შეუძლია კი ქვეყანას, რომელმაც თავად ვერ უზრუნველყო დემოკრატიული პრინციპების გამოყენება განვითარებისთვის, ამ საკითხში სხვას დაეხმაროს? – არა მგონია. და ყველამ, ვინც ამ მასალას კითხულობთ, ეს კარგად იცით.

„აფხაზეთის სახელისუფლებო სისტემისა და ეკონომიკის დეგრადირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე შექმნილი უხარისხო სამართლებრივი ბაზაა. მთავარი შეცდომა, რომელიც ძირითად კანონში – კონსტიტუციაში გაეპარათ, იყო მასში დოქტრინალური მიზნისა და სტრატეგიული ამოცანების არასახვა – მათ გარეშე ხომ არ არსებობს ის, რასაც ახალი კანონები უნდა ადარო შესაბამისობის დასადგენად. შედეგად ახალი კანონების უმრავლესობა ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამება. და აი, ასე, მიზნისა და გზის არარსებობის პირობებში საზოგადოება და ხელისუფლება საუკუნის მეოთხედის განმავლობაში ერთ ადგილს ტკეპნიან, დეგრადირებენ და კარგავენ სახელმწიფოს ავტორიტეტის ნარჩენებს მთელი დანარჩენი მსოფლიოს თვალში“, – თვლის ანატოლი ოტირბა.

სტრატეგიულმა პარტნიორმა კი არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. და ყველაფერი, რაც ამ დრომდე გრძელდება, მხოლოდ ერთით შეიძლება, აიხსნას – აფხაზეთი რუსეთისთვის მნიშვნელოვანი არ არის. სუსტი სტრატეგიული პარტნიორით მანიპულირება უფრო ადვილია, მით უფრო, თუ მას ათწლეულების განმავლობაში არწმუნებ, რომ რუსეთთან მეგობრობის გარდა, სხვა გამოსავალი აფხაზეთს არა აქვს.

ასტანდა ბგანბა

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

აღმოსავლეთ_დასავლეთის ჩქარაოსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტი

სესხის/კრედიტის № **IBRD 85470**

პროექტის **#: P149952**

დავალების დასახელება: ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების დამოუკიდებელი აუდიტი

კონტრაქტის ნომერი: **EWHCIP/CS/ICS-01**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქარაოსნული მაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების** პროექტისთვის. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საკონსულტაციო მომსახურება მოიცავს კონსულტანტის მიერ **დამქირავებლის ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სისტემების დამოუკიდებელ აუდიტს**. დავალების მიზანია, რომ (1) შეფასდეს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში შერჩეული საგზაო/ავტომაგისტრალის ხელშეკრულებებში ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა, (2) განისაზღვროს აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭირო რეკომენდაციები, (3) განისაზღვროს დამქირავებელის მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების მონიტორიგის გასაუმჯობესებლად საჭირო რეკომენდაციები, (4) ხელი შეუწყოს დამქირავებლის თანამშრომლების ცნობიერების დონის ამაღლებას ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების საკითხებში. დავალების ხანგრძლივობაა 8 კვირა. დავალების მიმდინარეობისას კონსულტანტი უნდა იმყოფებოდეს საქართველოში.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ ინდივიდუალურ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად ზემოხსენებული საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად.

კორონავირუსთან (კოვიდ-19) დაკავშირებული სასაზღვრო შეზღუდვების გამო, დამქირავებელი გეგმავს ამჟამად საქართველოში მყოფი ადგილობრივი ან საერთაშორისო კონსულტანტის დაქირავებას.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება დავალებისთვის საჭირო კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება. კანდიდატების მოკლე ბიოგრაფია (CV) უნდა მოიცავდეს ზემოხსენებულ ინფორმაციას.

კონსულტანტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- სამოქალაქო ინჟინრის, პროექტის მენეჯერის, ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების ან სხვა შესაბამის სფეროში ხარისხი/კვალიფიკაცია;
- საგზაო და ავტომაგისტრალის პროექტებში, რომელიც მოიცავს დიდ ხიდებს და გვირაბებს, ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება;
- ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების სისტემების შეფასების დადასტურებული ცოდნა და გამოცდილება;
- ჯანმრთელობის დაცვის და შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილების სიღრმისეული ცოდნა;
- შესაბამისი ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება ჩაითვლება დამატებით უპირატესობად.

<u>შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.</u>

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია მის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპების" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში) შესაბამისად ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდის გამოყენებით.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფიასთან (CV) ერთად დაბეჭდილი სახით ან ელექტრონული ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2020 წლის 21 აგვისტოს, 17:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: ალექსანდრე თევდორაძე

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia

East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)

Loan No. IBRD 85470

Project No. P149952

Assignment Title: Health and Safety Independent Audit

Reference No: EWHCIP/CS/ICS-01

The Government of Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the **East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)**, and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The consulting services ("the Services") include the provision of Independent Audit of the Client's Health and Safety Systems. The Assignment aims at (i) conducting a review and analysis of the current WHS arrangements in selected World Bank-financed roads/ highways contracts, (ii) providing recommendations for improving the WHS situation for the subject contracts; and iii) providing detailed recommendations for the Client to improve the monitoring of WHS practices in throughout its portfolio of projects and (iv) raise the awareness for the Client's staff on the WHS aspects of road project management. The estimated duration of the assignment is 8 weeks. The consultant should be based in Georgia for the duration of the assignment.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible **Individual Consultants** ("Consultants") to express their interest in providing the Services.

Due to the border restrictions related to the COVID-19 virus, the Client seeks to hire the local or international consultant having current residence in Georgia.

Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services. The CVs of the candidates should cover the requested information.

The Qualification Requirements for selection of the Consultant are as follows:

- A graduate or equivalent qualification/ degree in civil engineering, project management, construction management, Health & Safety or any other relevant discipline;
- At least 5 years of prior work experience in dealing with H&S systems in road and highway projects, including projects with large bridge and tunnel structures;
- Demonstrated knowledge and experience in undertaking the operational assessment of H&S systems;
- Deep knowledge and understanding of the best global H&S practices;
- Relevant regional and international experience will be an added advantage.

<u>Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.</u>

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers January 2011 – Revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. Also please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the consultant's services under the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

The Consultant will be selected under the "Selection of Individual Consultants" method for a Lump-Sum contract, as described in the World Bank's <u>Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers</u>, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

Interested consultants may obtain further information by email: <u>i</u>

Expressions of Interest accompanied by CVs and other relevant information electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than August 21, 2020, 17:00 hours.

Name: Aleksandre Tevdoradze

Position: Deputy Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: <u>info@georoad.ge</u>

Web-Site: <u>www.georoad.ge</u>

სიმართლე და გულისტკივილი – მხოლოდ ფაქტებით!

ვეტერან მოფარიკავეთა პასუხი საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტის მ. ბაზაძის „პალიტრანიუსში“ სატელევიზიო ინტერვიუსთან დაკავშირებით

◎ ფარიკაობა

— **მერაბ ბაზაძემ** 2018 წლის სექტემბერში ჯერ გააყალბა გამგეობის სხდომა და საჯარო რეესტრში გაატარა, როგორც სფფ-ს ყრილობა (ხელს აწერენ თვითონ, გენერალური მდივანი — **ნინო ჯერენაშვილი** და ვიცე-პრეზიდენტი — **როსტომ აბაშიძე)**, ხოლო შემდგომ ჩაატარა ყრილობა ყველაფრის გასაბათილებლად, სადაც დელეგატებს დაუმალა მთავარი გარემოება, ის, რომ ისრაელის საქმეში ზ. მჭედლიძესთან და დ. სახვაძესთან ერთად თვითონაც მონაწილეობდა და მთელი ქართული ფარიკაობისა და სპორტული სამყაროს მოტყუებით გახდა სფფ-ს პრეზიდენტი;

— ბ-ნმა მერაბმა ხელაღებით დაარღვია სფფ-ს წესდების 4.4.1 მუხლი, რაც ითვალისწინებს საპატიო პრეზიდენტისა (იური ოსიპოვი) და პრეზიდენტის პირადი მრჩეველის (არჩილ გოგელია) **რჩევა-დარიგებებს;**

— 2018 წელს, როდესაც ფედერაცია აღმოჩნდა რთულ ვითარებაში (ცნობილი ისრაელის ამბების შემდგომ), პრეზიდენტი (ზ. მჭედლიძე) და გენერალური მდივანი (დ. სახვაძე) გადადგნენ თანამდებობებიდან, რათა არ დაზარალებულიყო ხმლით მოფარიკავეთა გუნდი, რომელსაც გააჩნდა მართლაც უნიკალური (პირველად დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის ისტორიაში) და რეალური შანსი მოეპოვებინა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების გუნდური ლიცენზია;

— მ. ბაზაძემ არ გაითვალისწინა საპატიო პრეზიდენტის რჩევა, დროებით, 2020 წლამდე, პრეზიდენტის მოვალეობა შეესრულებინა სფფ-ს პირველ (1992-2016) პრეზიდენტს, ცნობილ ვეტერან მოფარიკავეს, ჟურნალისტსა და საზოგადო მიღვაწეს **არჩილ გოგელიას**. მან ჯიუტად იყარა კენჭი და გახდა სფფ-ს პრეზიდენტი, რამაც ფედერაცია და მხმალავეთა გუნდი მიიყვანა დღევანდელ სავალალო შედეგამდე. იმის მაგივრად, რომ მოეპოვებინა ოლიმპიური ლიცენზია, გუნდმა დათმო პოზიციები ფიე-ს რეიტინგში და დღეისათვის მე-12 ადგილზეა მაშინ, როცა 2018 წელს მე-9 ადგილზე იმყოფებოდა;

— 2018-2020 წლებში მერაბ ბაზაძე ფედერაციას მართავდა და დღესაც მართავს ერთპიროვნულად. ასევე, გაუგებრად ყრილობას აარჩევინა არაპროფესიონალი გენერალური მდივანი — **ნინო ჯერენაშვილი,** ხოლო გამგეობას მთავარ მწვრთნელად დაამტკიცებინა **ასევე გამოუცდელი სერგო ხატიაშვილი;**

— **შევადაროთ კადრები ხსენებულ არჩევნებამდე:** ერთობლივად მუშაობის პერიოდში (2012 — 2018) ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და შემდგომში პრეზიდენტი გახლდათ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი **ზაზა მჭედლიძე,** რომელიც მას (მ. ბაზაძეს), როგორც **მთავარ მწვრთნელს,** ეხმარებოდა გუნდის მომზადებაში.

გენერალურ მდივნად მუშაობდა **დავით სახვაძე** (ევროპის ფარიკაობის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და მსაჯთა კომისიის ჯერ წევრი, ხოლო შემდგომ ამავე კომისიის თავმჯდომარე, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი);

— **გასაიდუმლოებული ანაზღაურებით მოწვეული ლეგიონერი სპორტსმენებისა და უცხოელი მწვრთნელების შესახებ: ანტონინა კუვაევა** (დაშნა) ოჯახით; **ვალერიან მარინიჩევი** (ხმალი); **არანტონ კარაბინსკი** (ხმალი). გაუგებარია მათი მოწვევა იმ ფონზე, როდესაც საქართველოში მოღვაწეობენ ახალგაზრდა ქართველი მწვრთნელები, რომლებმაც გაიარეს ფიე-ს მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. ესენი არიან: **ქეთევან ერემეიშვილი, ლევან იოსებიძე, შოთა შავგულიძე, გიორგი რამიშვილი** (ყველა-ხმალი), **სერგო ხატიაშვილი** (გაიარა იტალიის ფარიკაობის მწვრთნელთა კურსები — **მაესტრო), დავით არველაძე, სოფიო დიდია** (სამივე — დაშნა) და **ირაკლი ღაღანიძე** (რაპირა). **საინტერესოა, რატომ დაიხარჯა მათ მომზადებაზე თანხები, თუ უცხოელი, სრულიად გამოუცდელი მწვრთნელების მოწვევა იყო საჭირო და რა შედეგებს მიაღწიეს იუნიორებმა და კადეტებმა მათი ჩამოყვანით?**

— ხმლით მოფარიკავეთა მწვრთნელის **კრისტიან ბაუერის** (ანაზღაურება უცნობია) პროფესიონალიზმში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ რა აუცილებელი იყო მისი მოწვევა შუა სეზონში, როდესაც სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ბიუჯეტის ხარჯები უკვე დიდი ხნის გაწერილი იყო. კრისტიან ბაუერი, გაურკვეველი მიზეზების გამო, საქართველოში არ ჩამოდის (ჩამოვა თუ არა საერთოდ, საკითხავია). მოხმალავეთა გუნდის წევრები (4-5) არიან რეგულარულად მივლინებულნი საფრანგეთის დედაქალაქში, კრისტიან ბაუერის სახელობის ფარიკაობის აკადემიაში სავარჯიშოდ **(უცნობია ბიუჯეტი და ვის მიერ იფარება ხარჯები);**

— **მოწვეული ლეგიონერი სპორტსმენების ფიეს რეიტინგები.** კადეტები: **ალექსანდრა კუვაევა** (ხმალი) და **ევა აღამიანი** (დაშნა) — რეიტინგის გარეშე; სენიორები: **მაია გუჩმაზოვა** (დაშნა, 151-ე), **ვალერია დვინინა** (დაშნა, 405-ე) და **გიორგი კუდრიავცევი** (დაშნა, 360-ე). **საკითხავია, რა საჭირო იყო ურეიტინგო ან რეიტინგში ასეულს მიღმა მყოფი სპორტსმენების საქართველოში მოწვევა? ან რა შედეგები მოგვიტანეს, ჩვენებზე უფრო სუსტმა სპორტსმენებმა;**

— მერაბ ბაზაძემ გამგეობას მოსთხოვა ოლიმპიური ჩემპიონის ნუგზარ ასათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზი იჯარით სამართავად გადაეცათ **შპს „მერაბ ბაზაძის სახელობის ჩემპიონთა აკადემიისთვის“,** რომლის 100-პროცენტიანი წილის მფლობელია საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ამჟამინდელი გენერალური მდივნის ნინო ჯერენაშვილის დედა **ვენერა მამუკაშვილი.** ამ შპს-ს არ გააჩნია არანაირი ვალდებულება — ესაა ინტერესთა **უდიდესი კონფლიქტი;**

- ოლიმპიური ჩემპიონის ნ. ასათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზი ვეტერანი მოფარიკავეების მიერ (შპს „მუშკეტერები“) აშენდა, გარემონტდა და ოფიციალურად გაიხსნა 2012 წლის 18 მარტს. 2013 წელს გადაეცა ჯერ სახელმწიფოს, სიმბოლურ 1 ლარად, შემდგომ, უზურფრუქტით, 49 წლის ვადით, საქართველოს ფარიკაობის ფედერაციას **საჩუქრად**. დარბაზს, ფარიკაობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიერ, ქართველი ვეტერანების წერილობითი თხოვნით 2017 წელს ჩაუტარდა გეგმიური სარემონტო სამუშაოები.

2020 წელს მერაბ ბაზაძის კვლავ ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ოლიმპიური ჩემპიონის ნუგზარ ასაათიანის სახელობის ფარიკაობის დარბაზის არაგეგმიური გარემონტება და ხელახალი გახსნის ცერემონია სრულიად გაუგებარია. გაუგებარია ასევე რა თანხებით და რა ბიუჯეტით ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. აუხსნელია რატომ და ვისი შემოქმედებით მოიხატა დარბაზში შესასვლელის მარცხენა კედელი. ეს ნამდვილად არაა ოლიმპიური ჩემპიონის ნუგზარ ასათიანის სახე და სადაც არის 8-დან 4 ოლიმპიელი ცოცხალი, იმას არ ასახელებენ მემორიალად;

— ვფიქრობთ, უახლოეს პერიოდში უნდა დაინიშნოს საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ყრილობა და ყველა შეკითხვას გაეცეს კონკრეტული პასუხი, აირჩეს ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა — პროფესიონალები, რომლებიც გააგრძელებენ 2018 წლამდე მიღწეული ყველა თაობის მუშკეტერების ისტორიული შედეგების გაუმჯობესებას.

გიორგი ცაგარელი, გურამ ჯაიანი, გურამ კოსტავა, იური ოსიპოვი, ზურაბ ცქიტიშვილი, რუსუდან კეკელია, დიმიტრი შარაშენიძე, ლუდვიგ ღაღანიძე, ზურაბ ბოკუჩავა, გიორგი კოკოჩაშვილი და სხვები.

P.S. ველოდებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეაგირებას.

დიდოსტატი

◎ არდავიწყება

გგონია, შემთხვევითი ფაქტია, ზურაბ საკანდელიძე ნაგასაკის დაბომბვის დღეს — 1945 წლის 9 აგვისტოს რომ დაიბადაო — მკითხა ერთხელ მისტიკაში გადაშვებულმა მოსკოველმა კოლეგამ.

რა უნდა მეპასუხა — ეტყობა, კალათბურთის ქუთაისელ ჯადოქარს აკვნიდანვე შუბლზე ეწერა, მეტოქეთა კალათები რომ უნდა დაესეტყვა და სპორტის საყვარელი სახეობა ხელოვნების რანგში აეყვანა.

1979-1983 წლებში თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი, სამოყვარულო სპორტში არსებული ყველა ტიტულის ერთადერთი ქართველი მფლობელი უამრავი ინდივიდუალური პრიზით ამაყობდა და არც სახელმწიფო ჯილდოების კავალრობა უკვირდა, მაგრამ ვერაფერი შეედრება იმ აღიარებასა და დაფასებას, სიცოცხლეშივე რომ დაიმსახურა გულშემატკივართა შორის.

მხატვრულ ფილმ „3 წამით“ უკვდავყოფილი ჩვენი ლეგენდარული თანამემამულის სახელობის ქუჩა დედაქალაქში ბაგებს ამშვენებს, ხოლო მისი და განუყრელი მეგობარ-თანაგუნდელის მიხეილ ქორქიას ბიუსტები — მშობლიური ქუთაისის ოლიმპიურ სკვერს. მათივე სახელს ატარებს რიონისპირა ქალაქის სპორტის სასახლეც.

მოუშუშებელია ის იარა, საფიცარი ვაჟის ბედისწერას გადაყოლილი „საკო“ მხოლოდ 58 წლისა რომ გამოგვეთხოვა.

ვიტალი ჯაფარიძე

სადარბაზო ბარათი

მიღწევები

საკლუბო

თბილისის „დინამო“
სსრ კავშირის ჩემპიონი: 1968,
სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონი: 1969,
სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი: 1965,
სსრ კავშირის თასის მფლობელი: 1969.

სანაკრებო

სსრ კავშირი
მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი: 1972,
მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი: 1968,
მსოფლიო ჩემპიონი: 1967,
მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი: 1970,
ევროპის ოთხგზის ჩემპიონი: 1965, 1967, 1969, 1971,
ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი: 1973.

ინდივიდუალური

ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მცველი: 1967,
მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების წევრი: 1967,
საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი 1967,
სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი: 1967
საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი,
ღირსების ორდენის კავალერი
ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი

ძვირფასი სახსოვარი

როცა ლექსი პოეტთან ერთად არ კვდება

სიკვდილმა ამჯერად გამორჩეული პოეტისა და ლიტერატორის მურმან ჯგუბურიას გამო ჩამორეკა გლოვის ზარი. მურმანს ჩვენი საზოგადოება იცნობს როგორც საუკეთესო ადამიანსა და სიკეთის, სიცოცხლის სიყვარულით შთაგონებელ პოეტს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ღირსეულად იყო შებმული ქართული მწერლობის არცთუ იოლ უღელში და ტოლს ბევრს არ უდებდა. იგი იმ პოეტთა სათვალავს ეკუთვნის, რომელთა სიტყვა და ლექსი ავტორთან ერთად არ კვდება...

რვა წლის წინ დაწერილი ქვემოთ გამოქვეყნებული ლექსიც, რომელიც მან ქართული წიგნის უანგარო სიყვარულით სავსე ქომაგს, ჭეშმარიტად საზოგადო მოღვაწესა და მამულიშვილს გურამ ახალაიას დაუტოვა, სწორედ ამაზე აცხადებს თავის უფლებას...

ამ ლექსს ვუტოვებ ძვირფას მეგობარს გურამ ახალაიას – კაცს, პიროვნებას, წიგნის მოყვარულს, წიგნიერს და თავად წიგნს, რათა ჩემი გარდაცვალების მერე, თუკი საჭიროდ ჩათვლის, გამოაქვეყნოს.

მურმან ჯგუბურია
9 მარტი, 2012 წ.
თბილისი

* * *

შენ ჯგუბურიას სამეგრელოს გიწოდებს ხალხი
ოდესმე, ნაღდად;
თუმცა იმაგე დაფიქრება ამჯერად არ ღირს,
რაც ხდება მაღლა.
ჩვენ მოლოდინის თავი არ გვაქვს, ჩვენ შევსვათ რახი,
მივუსხდეთ ტაბლას;
რადგან მასგეა მიჯაჭვული მარადის ხალხი,
რაც ხდება დაბლა.

მ. ჯგუბურია

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და ლიტერატორი, მრავალი წლის მანძილზე ჩვენი გაზეთის გულითადი მეგობარი და ავტორი

მურმან ჯგუბურია

და უჭირმძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

სანთელი

გურამ, ამირან, ირაკლი ქაშაკაშვილები გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ თენგიზ წივწივაძეს ძმის

მურადის

გარდაცვალების გამო. თანაუგრძნობენ აგრეთვე განსვენებულის ოჯახს.

კოლეგები იური, გუგა და კოკი ოსიპოვები, გიორგი კიკალიშვილი, ქეთი კუბლაშვილი, რამაზ ჟამუტაშვილი, ზურაბ კუპრაშვილი მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი მეწარმის, ქუთაისის წისქვილკომბინატის დირექტორის და წარმატებული ფეხბურთელის

მურად წივწივაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ისანში სამი ახალი სკვერი გაიხსნა

„ქართული ოცნება – ძლიერი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე, ირაკლი აბუსერიძე, სკვერების გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

ინფრასტრუქტურული პროექტების რეაბილიტაციის ფარგლებში, ვაზისუბანში მოეწყო ბავშვთა გასართობი სივრცეები, საფეხმავლო ბილიკები, ასევე, დამონტაჟდა გარე განათების სისტემები და განთავსდა დასასვენებელი სკამები. მიმდებარე ტერიტორია კი დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა. აღნიშნული სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 262 416 ლარი დაიხარჯა.

„ხაბეზავრის“ ყმუილი

მე შაირი არ მინდოდა...

მახსოვს, ჩემს სიყმაწვილეში ქართულ კინოეკრანებზე დიდი წარმატებით გადიოდა ესპანური მხატვრული ფილმი „დაე, ილაპარაკონ“ მთავარ როლში პოპულარულ პირენეელ მომღერალ რაფაელის მონაწილეობით.

თუ აღნიშნული მიუზიკლის სახელწოდების პერიფრაზირებას მოვახდენთ, დღევანდელი სათქმელი შეგვიძლია ასე დავასათაუროთ: „დაე, იყეფონ“, რადგან ორფეხა რადიოს, ნაცმასხარა ცუგა ლევან ხაბეიშვილისა და მის ამფსონთა წკავწკავის მიუხედავად, ქარავანი მაინც წინ მიიწევს და კორონავირუსის პანდემიასთან უთანასწორო ბრძოლაში ღირსეულად ჩაბმული, ზოგადად, საქართველოსა და, კონკრეტულად, მისი დედაქალაქის გათანამედროვეობის პროცესი შეუქცევად ხასიათს იძენს.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ყველაფერს ვარდისფერი სათვალით ვადევნებდეთ თვალს და პროგრესის დამკვიდრების მცდელობისას დაშვებულ შეცდომებს ვერ ვამჩნევდეთ – არამც და არამც. მოგეხსენებათ, შეუმცდარი მხოლოდ უქნარაა და ვინც საქმეს აკეთებს, მას „იაღლიშებიც“ მოსდის, მაგრამ აქ საუბარია ქრონიკულში გადაზრდილ უმადურობის სენსა და თეთრის შავად წარმოჩინების უსუსურ განზრახვაზე, რასაც დანაშაულებრივ ორკესტრირებას ანტისახელმწიფოებრივ მეტასტაზებად ჩამოყალიბებულ ტელეარხებში გაბნეული ჩვენი ვაიკოლეგები უწევენ პიარ-ვანდალიზმის სახით.

თუმცა, ვატყობ, სიტყვა გამექცა და თქვენს მოთმინების ფიალას მოვუფრთხილდები: ამჯერად მკითხველის ყურადღებას ვაკის სადარბაზო ბარათის – ილია ჭავჭავაძის გამზირის გამშვენიერებით გაბოროტებულ ჟოპოზიციონერთა მორიგ სამარცხვინო კამპანიაზე გავამახვილებ, რომლებმაც ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს – „ნახევარკუნძულებით“ დახუნძლული თბილისის გული უკვე წალეკა საცობებმა და ჯერ სადა ხართ – როცა სასწავლო პროცესი განახლდება და დამსვენებლები საკუთარ სახლებს დაუბრუნდებიან, კახი კალაძისა და მთლიანად მერიის „ტკბილად მოკითხვა“ მერე ნახეთო.

სიმართლე გითხრათ, მაშინვე მივხვდი, საითაც უბერავდა სიო: მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ მმართველი პარტიის გენერალური მდივნისა და, ჩათვალეთ, „ქართული ოცნების“ ბოსტანში კენჭების სროლის ასეთ სანუკვარ შანსს, აბა, როგორ გაუშვებდნენ ხელიდან კიევში გადახვეწილი სააკოვიდის ჩვენებური გოშიები, მაგრამ მათ ვეკითხებით: მაგას ვინღა ჭამს?

და კიდევ: დაგვეთანხმებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვინ გსაყვედურობს. დიახ, უსაფუძვლო პრეტენზიების გამოთქმის მორალური უფლება არა აქვთ იმ დესტრუქციული პოლიტიკური ძალის ლეკვებს, თავიანთი ანტიქართული ზეობის ჟამს ცალმხრივი მოძრაობის შემოღებით რომ დაასახიჩრეს ვარაზისხევი, აგრეთვე კოსტავას, მელიქიშვილის, პეტრიაშვილისა და პუშკინის ქუჩები. აღარაფერს ვამბობ „ძლევაი საკვირველის“ შემომქმედი წმინდანად შერაცხილი მეფის ძეგლის დიღომში გატყორცნასა და იმ არქიტექტურულ სიმახინჯეებზე, დღემდე რომ ვერ ამოგვიშანთავს დედაქალაქის ისედაც დაჭრილ-დაკორტნილი სხეულიდან.

ვაპირებდი, წერილი აქ დამესრულებინა, მაგრამ თბილისის მერის მიერ მძღოლებისთვის მოხდილმა დიდსულოვანმა ბოდიშმა (არ გესწავლებათ, რომ ესეც ღირსეული ნაბიჯია) და გამოთქმულმა სავსებით რეალურმა პროგნოზმა – „დღეს ვინც მაკრიტიკებს, ხვალ მადლიერებას გამოხატავსო“ – მაიძულა თამაში დამატებით დროში გადამეყვანა და ჭეშმარიტების დასადგენად „დაჩაგრულ უბანს“ ვწვეოდი.

თურმე, სად ბანაობენ ნაცბანდის ფინიები – რი საცობი, რა საცობი. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ასეთ ევროპულად კეთილმოწყობილ ქუჩებსა და ორგანიზებულ მოძრაობას მალე სხვა ცენტრალური საავტომობილო არტერიების მოსახლეობაც ინატრებს. ეს უპირველესად ავტობუსებს ეხება, რომელთა გადაადგილებაც, რომ იტყვიან, ყოველმხრივ გამართული შვეიცარიული საათივით ხდება. ფაქტი გნებავთ? – ინებეთ: უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან ვაკის პარკამდე სულ რაღაც 7 წუთში მივედით. წარმოიდგინეთ, როცა მძღოლები ახალ სატრანსპორტო რიგებს შეეგუებიან, მერე როგორ ტემპს განავითარებენ.

აი, მაშინ კი მართლაც საინტერესო იქნება მუდამ საპროტესტოდ, უფრო სწორად – უსაგნოდ სალაქლაქოდ განწყობილი „ხაბეზავრისა“ და მისი იდეური თანამოაზრეების მოსმენა – ნეტავ, როგორ გადაიტანენ თბილისის პრესტიჟული უბნის ახალ სიცოცხლეს?

სხვათა შორის, სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლება ვაკეში მივიღე, ოჯახი დღესაც ბარნოვზე (და არა აბაშიძეზე) ცხოვრობს და თითქმის მთელი საახლობლო იქ მყავს, მაგრამ მეც კი, როგორც საბურთალოელი, ვერ ვაძლევ თავს უფლებას, სიახლე თამამად შევაფასო. ჰოდა, მივმართავ წუნია პოლიტრიკოსებს თხოვნით: ამბიციები დაიოკეთ და ვაკელთა სათქმელს თქვენ ნუ აჟღერებთ (თანაც – უკულმა, რადგან ვისაც გავესაუბრე, ყველა მადლიერია), ხოლო თუ დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატ „ხაბეზარას“ ენა მაინცდამაინც ექავება, საკუთარ დისლოკაციის უბანს დაუბრუნდეს და იქ იქნიოს მათრახივით – როგორც იცით, მადა ჭამაში მოუვიდა და ოქტომბერში უკვე პარლამენტის წევრობისთვის მოუწევს ბრძოლა, რომელშიც, წინასწარ შეგვიძლია მივუსამძიმროთ, რომ განწირულია დასამარცხებლად!..

გია პლატონიშვილი

მინაწერი: *რასაკვირველია, პირადი აზრის გამოთქმას ვერავინ ვერავის ავუკრძალავთ, მათ შორის – ჭორიკანა მოლაყბეებსაც, მაგრამ ისიც უდავოა, რომ ზომა-წონის დაცვა ყველას გვმართებს.*
გ.პ.

„ღამის სერენადები“ - განსხვავებული ფორმატით

ბათუმი-თბილისის მეთორმეტე ფესტივალი „ღამის სერენადები“ წელს განსხვავებული ფორმატით ჩატარდება. საკონცერტო საღამოებზე შესრულდება კლასიკური მუსიკის შედევრები და ასევე თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებების პრემიერა შედგება.

ფესტივალი ტრადიციულად ბათუმში, 27 აგვისტოს გაიხსნება და მას ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი უმასპინძლებს.

საკონცერტო საღამო ცნობილი ქართველი კომპოზიტორისა და პედაგოგის სულხან ცინცაძის 95 წლის იუბილეს მიეძღვნება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს არაერთი ეროვნული და საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი თამარ ლიჩელი (ფორტეპიანო) გია ყანჩელის სახელობის სიმებიან კვარტეტთან ერთად.

2 და 4 სექტემბერს საკონცერტო საღამოები თბილისში გაგრძელდება. თბილისის საკონცერტო საღამოებში მონაწილეობას მიიღებს ლიანა ისაკაძის მიერ შექმნილი ფესტივალის საბაზო ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“, ფესტივალის მთავარი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, სოლისტები — სანდრო ნებიერიძე, ლიზა ჩხაიძე, ელენე შავერზაშვილი.

ქეთი მელუა აჭარაში ვიდეოკლიპებს იღებს

მომღერლის ახალი სიმღერებისთვის ვიდეოგადაღებები ბათუმის ბოტანიკურ ბაღში, ბათუმის ბულვარში, სარფისა და ციხისძირის სანაპირო ზოლსა და სოფელ მერისში მიმდინარეობს.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში აცხადებენ, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა აჭარის ბუნების მრავალფეროვნებას, მთისა და ზღვის ერთობლიობას მომღერლის მილიონობით თაყვანისმცემელი ახალი ვიდეორგოლით გაეცნობა.

გადაღებებისთვის მიმზიდველი ტურისტული ადგილების შერჩევასა და პროექტის განხორციელებაში აქტიურადაა ჩართული აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი.

ვიდეორგოლის რეჟისორი მარიამ სიჭინავა, ოპერატორი კი ალექს ომიაძეა. მომღერლის ჩაცმულობაზე ბათუმელი დიზაინერი თაკო მექვაბიძე ზრუნავს.

ქეთი მელუას აჭარაში გადაღებულ ვიდეორგოლებს, რომელიც მერვე ალბომის ორი სიმღერისთვის იქმნება, მაყურებელი ეკრანებზე უკვე შემოდგომაზე იხილავს.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

◎ სულიერება

პანტელეიმონობა

9 აგვისტოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს უდიდესი მოღვაწის, წმინდა დიდმოწამის პანტელეიმონ მკურნალის ხსენებას, რომელიც ნიკომიდიაში მესამე საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა.

...პანტელეიმონ მკურნალის ქრისტიანულ ღირებულებებზე აღზრდა თავის თავზე აუღია სასულიერო მოღვაწეს — ერმოლაოსს.

წმინდა პანტელეიმონ მკურნალს საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ცნობილი მედიკოსების ნაშრომი.

საგულისხმოა, რომ წმინდა პანტელეიმონ მკურნალს შეეძლო, განეკურნა ავადმყოფები ქრისტეს სახელით და თავისი სამედიცინო გამოცდილებით ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამასთანავე, უსინათლოებს მისი მკურნალობით თვალის ჩინი უბრუნდებოდათ, ხეიბრები დადიოდნენ და განკურნებულები ადიდებდნენ უფალს.

დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალი ავადმყოფებს ქრისტიანობას უქადაგებდა, რის გამოც მას თავი მოჰკვეთეს.

დედაქალაქში, ვერაზე წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძარში ყოველთვის განსაკუთრებული ზეიმით ხვდებიან ტაძრის დღესასწაულს... აქაური მრევლი თავის წინამძღვართან დეკანოზ გიორგისთან (ჩაჩავა) და მღვდელმსახურებთან ერთად კვლავაც იღვწის თავისი შეკრების ადგილის მზრუნველობა-განახლებისთვის... ამ დღეებში მეც ვეწვიე ტაძარს, მამა გიორგიმ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლებს და მის მკითხველებს ღვთის კურთხევა უწყალობა.

გიული ლიპარტია

ბაკალავრის დიპლომი - 96 წლის ასაკში

ჯუზეპე პატერნო იტალიაში უნივერსიტეტის ყველაზე ასაკოვანი კურსდამთავრებული გახდა.

პატერნო განათლების მიღებაზე ბავშვობიდან ოცნებობდა, მაგრამ მის ოჯახს ამისთვის საკმარისი თანხა არ ჰქონდა. ამიტომ მან სწავლის ნაცვლად მუშაობა დაიწყო, მეორე მსოფლიო ომის დროს კი იტალიის ჯარში ტელეგრაფისტი იყო.

ომის დასრულების შემდეგ რკინიგზაზე მუშაობდა, მაგრამ განათლების შესახებ ოცნება არ დაივიწყა და სამსახურის შემდეგ ღამის სკოლაში დადიოდა. ატესტატი საშუალო განათლების მიღების შესახებ მან 31 წლის ასაკში მიიღო.

2017 წელს კი პალერმოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე ჩააბარა. როცა სწავლა დასასრულს უახლოვდებოდა მსოფლიოში კორონავირუსის პანდემია დაიწყო და უნივერსიტეტი დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. პატერნოს კომუნიკაციის ახალი საშუალებების ათვისება მოუწია და ამ ამოცანას თავი წარმატებით გაართვა. მას ბაკალავრის პირველი ხარისხის დიპლომი გადასცეს.

„ეს ერთ-ერთი უბედნიერესი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში. მხოლოდ ის მინდოდა, რომ ჩემს ცოლს ვენახე იმ მომენტში, მაგრამ ის 14 წლის წინ გარდაიცვალა“, - თქვა პატერნომ, რომელიც ახლა მაგისტრის დიპლომზე ოცნებობს.

„დედაჩემმა 100 წელი იცოცხლა. თუ გენეტიკა ჩემს მხარეზეა, კიდევ 4 წელი მაქვს“, - განაცხადა მან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-25

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა სამშაბათს, 11 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0737; ევრო - 3.6402;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.0493;
100 რუბლი - 4.1843; თურქული ლირა - 0.4228;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8081;
1000 სომხური დრამი - 6.3285.

ამინდი 8 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+17,	დღე	+36
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე	+33
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+20,	დღე	+36
მთიანი რაიონები -	ღამე	+17,	დღე	+33
თბილისი:	ღამე	+22,	დღე	+35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 239-03-43, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge